

**სახელმძღვანელო:
ანტიდასავლური
დეზინფორმაცია
საქართველოში და მისი
გამოვლენის გზები**

დოკუმენტი მომზადებულია
საქართველოს რეფორმების ასოციაციის მიერ,
საქართველოს მასწავლებელთა
პროფესიული ასოციაციისთვის

სარჩევი

შესავალი	2
დეზინფორმაცია, პროპაგანდა და ყალბი ამბები	5
ძირითადი განმარტებები	5
ანტიდასავლური პროპაგანდა, დეზინფორმაცია, ყალბი ამბები და საქართველო	7
ვინ ავრცელებს და რატომ?	7
ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მიზნები და ამოცანები	10
რას გვატყუებს ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია და როგორ?	13
დეზინფორმაციის ტექნიკები	13
გავრცელებული ანტიდასავლური და დეზინფორმაციის შემცველი მითები	21
ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის არხები და წყაროები	32
დეზინფორმაცია და სოციალური ქსელები	40
კორონავირუსი და ანტიდასავლური პროპაგანდა	43
როგორ არ მოვტყუვდეთ და როგორ გადავამოწმოთ ინფორმაცია?	45
როგორ გადავამოწმოთ ყალბი ამბავი?	45
როგორ ამოვიცნოთ ფოტო/ვიდეო მანიპულაცია?	46
სახელმწიფო პოლიტიკა დეზინფორმაციის წინააღმდეგ	52
საქართველოს პოლიტიკა	52
საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული პოლიტიკა	56
სასარგებლო ბმულები	58

შესავალი

მედია კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე სამყაროში მედიის განსხვავებული საშუალებები არსებობს: ბეჭდური მედია, ტელევიზია, რადიო და ე.წ. ახალი მედია, რომელიც ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტს იყენებს (ონლაინ მედიასაშუალებები, სოციალური ქსელები, სხვ.).

მედიის ტიპები

ტრადიციული მედია: წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, რადიო, ტელევიზია, კინო;

ახალი მედია: ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტ კომუნიკაცია - ონლაინ ვებგვერდები, ონლაინ მედიასააგენტოები, ბლოგები, სოციალური მედია. ახალ მედიას, განსხვავებით ტრადიციულიდან, მომხმარებელთან ინტერაქციის უფრო მეტი საშუალება აქვს (კომენტარები, რეაქციები).

მედიის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას მოქალაქეების ინფორმირება წარმოადგენს, რაც, უპირველეს ყოვლისა, სანდო და ობიექტური მასალის მიწოდებას უნდა ეფუძნებოდეს. ტექნოლოგიურმა განვითარებამ მოქალაქეთა საინფორმაციო საშუალებებთან წვდომა მნიშვნელოვნად გაამარტივა. უფრო მეტიც, „ჭკვიანი ტელეფონების“ ეპოქაში, მოქალაქეს საკუთარი სმარტფონის საშუალებით თავად შეუძლია მედიის ფუნქციაც კი შეასრულოს. თუმცა, ინფორმაციის აქამდე უპრეცედენტო მასშტაბითა და მოცულობით გავრცელებამ¹ საზოგადოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. საინფორმაციო და ტექნოლოგიურმა განვითარებამ სანდო და ობიექტურ ინფორმაციასთან ერთად, ყალბ და მანიპულაციურ

¹ [მაგალითად](#), რიგით ამერიკელს 1986 წელთან შედარებით, 2011 წელს დღიურად ხუთჯერ მეტი ინფორმაციის მიღება უწევდა. [მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის](#) თანახმად, 2019 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველდღიურად 500 მილიონი ტვიტი, 294 მილიარდი იმეილი იგზავნება, ხოლო Facebook-ზე 4 პეტაბაიტი (1 პეტაბაიტი= 1 მლნ გიგაბაიტი) მონაცემი იქმნება.

ამბეხსაც უფრო მარტივი და სწრაფი გავრცელების საშუალება მისცა. ამდენად, ინფორმაციის კრიტიკული გააზრება და მისი გადამოწმება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

ყალბი თუ სხვა ტიპის მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს:

- არაზუსტი ინფორმაცია შესაძლოა პაროდიას/სატირას წარმოადგენდეს და მისი მიზანი, აუდიტორიის გამხიარულებას გულისხმობდეს. მაგალითად, საქართველოში მსგავს სატირულ ონლაინგამოცემას წარმოადგენს chiti.ge.



აღნიშნული ვებგვერდი ერთი შეხედვით, შესაძლოა ნამდვილ მედიასააგენტოდ მოგეჩვენოთ. თუმცა, თუკი ვებგვერდის შესახებ ინფორმაციას შევამოწმებთ და მასზე გამოქვეყნებულ სხვა სტატიებსაც გავეცნობით, მარტივად მივხვდებით, რომ ის სატირას წარმოადგენს და მასში მოცემული ინფორმაცია შესაძლოა არაზუსტი და გამოგონილი იყოს.

- ეკონომიკური შემოსავლის მიზნით გავრცელებული არასწორი ინფორმაცია (ე.წ. clickbait) - განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში შესაძლოა შეგხვდეთ სენსაციური სათაურისა თუ ვიზუალის მქონე ახალი ამბის ბმული. ხშირად, მსგავსი შემთხვევები ე.წ. clickbait საიტებს წარმოადგენენ, რომლებიც სწორედ სენსაციურობითა და „მყვირალა“ სათაურით ცდილობენ მომხმარებელი ბმულზე გადაიყვანონ.



ე.წ. clickbait-ის მაგალითი

თარგმანი: „სუპერმოდელები ამ სამ მარტივ ხრიკს მიმართავენ, რათა ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ. გადადი ბმულზე და გაიგე ამ ხრიკების შესახებ“

აღნიშნული სენსაციური სათაურისა თუ ვიზუალის მიღმა მომხმარებელს ბევრი არაფერი ხვდება ორიგინალ სტატიაში, შესაძლოა ისიც კი აღმოჩნდეს, რომ სათაური/ვიზუალი საერთოდ არ შეესაბამებოდა სტატიის ძირითად ნაწილში მონათხრობს, ან საერთოდ, ბმულის გახსნისას მომხმარებელს არც არაფერი დახვდეს დიდი ზომის რეკლამების გარდა. ე.წ. clickbait ჰიტების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდისა და შესაბამისად მეტი სარეკლამო შემოსავლის მიღების მიზნით ვრცელდება, უმეტესწილად.

- არასწორი და მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური მიზნით - არასწორი ინფორმაცია, რომელსაც ცალკეული ინდივიდები, ჯგუფები თუ სახელმწიფო აქტორები პოლიტიკური მიზნებით ავრცელებენ, ყველაზე საშიში და მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში ყალბი თუ სხვა სახის მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელებას გაცილებით დიდი სტრატეგიული მიზნები აქვს. ამ ტიპის მცდარ ინფორმაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს საარჩევნო და ქვეყანაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვან პროცესებზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა სწორად შეძლონ დეზინფორმაციის ამოცნობა და მტრული სახელმწიფოების თუ სხვა არაკეთილსინდისიერი ჯგუფების გავლენის მსხვერპლნი არ გახდნენ. მიმდინარე სახელმძღვანელო სწორედ (გეო)პოლიტიკური მიზნით გავრცელებული დეზინფორმაციის მიმოხილვას და მისი გამოვლენის გზებს შეეხება.

დეზინფორმაცია, პროპაგანდა და ყალბი ამბები

ძირითადი განმარტებები

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ერთი შეთანხმებული განსაზღვრება არ არსებობს. ტერმინ დეზინფორმაციის თანამედროვე გაგება უკავშირდება რუსულ სიტყვას „дезинформация“, რომელიც გულისხმობს საბჭოთა კავშირის მიერ საზოგადოებრივ აზრზე მანიპულაციისა და მისი შეცდომაში შეყვანის მიზნით ყალბი ამბების გავრცელების პრაქტიკას.

ევროკავშირის ევროპული კომისია (European Commission) დეზინფორმაციას განსაზღვრავს, როგორც „შემოწმებად ყალბ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც იქმნება და ვრცელდება ეკონომიკური სარგებლის მისაღებად ან საზოგადოების მიზანმიმართულად მოტყუებისთვის, რომელიც განურჩევლად მიზნისა, საზოგადოებრივ ზიანს იწვევს. ამ განმარტებაში კომისია გამორიცხავს გაშუქებისას დაშვებულ შეცდომებს, სატირას, პაროდის, მიკერძოებულ ამბებსა და კომენტარებს.

ევროპის საბჭოს (Council of Europe) თანახმად, დეზინფორმაცია გულისხმობს მცდარი ინფორმაციის მიზანმიმართულ გავრცელებას, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: ა) მცდარ კონტენტს; ბ) ყალბ კონტენტს; გ) მანიპულირებულ კონტენტს; დ) ფაბრიკაციულ კონტენტს.

საქართველოს პარლამენტის თანახმად, „დეზინფორმაცია არის მცდარი ინფორმაცია, რომელიც მიზანმიმართულად და ზოგჯერ, ფარულად ვრცელდება საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის ან/და ობიექტური სიმართლის დასაჩრდილად“².

შესაბამისად, **დეზინფორმაცია** გულისხმობს როგორც მცდარ, ასევე შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, რომელიც იქმნება, ქვეყნდება და ვრცელდება **მიზანმიმართულად**, რათა საზოგადოებრივი ზიანი გამოიწვიოს და სამიზნე აუდიტორიაში გაურკვევლობა და დაბნეულობა დანერგოს.

² საქართველოს პარლამენტის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე მოკვლევის ჯგუფი. 2020. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3fdGsUH>

ამასთან, დეზინფორმაციის მიზანი შესაძლოა იყოს სამიზნე აუდიტორიის ქცევების, განწყობებისა თუ შეხედულებების ცვლილება. თუმცა, მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში, დეზინფორმაცია ცდილობს, მოქალაქეების ცნობიერებაში ეჭვები და დაბნეულობა გააჩინოს. როგორც წესი, დეზინფორმაცია არის პოლიტიკურად მოტივირებული გზავნილები, რომელიც მხოლოდ ცალსახად ყალბ ამბებთან (იხ. განმარტება ქვემოთ) არ შეიძლება გაიგივდეს. დეზინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს მათ შორის ნამდვილი ფაქტებსაც, თუმცა მათი საზოგადოებისათვის წარდგენა კონტექსტიდან ამოგლეჯილად ან სიცრუესთან შეჯერებულად ხდება (დეზინფორმაციის ტექნიკების შესახებ დეტალურად იხილეთ ქვემოთ).

პროპაგანდა გულისხმობს პოლიტიკური მიზნით ინფორმაციის სელექციურად შერჩევას³. პროპაგანდა მიზნად ისახავს ადამიანის დარწმუნებას, მის აზრებზე, ქცევაზე, ემოციებსა და დამოკიდებულებებზე ზეგავლენის მოხდენას და ცდილობს მისი „არჩევანის განსაზღვრას“, მათ შორის, სიმართლის გაზვიადებით ან დაფარული მესიჯებით.

პარლამენტის თანახმად, „პროპაგანდა არის კომუნიკაციის ფორმა, ჭეშმარიტი ან მცდარი ინფორმაცია, რომელიც ფაქტების შერჩევითი გამოყენებით, ფაბრიკაციით და ეგრეთ წოდებული ნახევარ-სიმართლებებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედებას და შედეგად - სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენებას ისახავს მიზნად“⁴.

დეზინფორმაციისგან განსხვავებით, განსაკუთრებით წარსულში, პროპაგანდას, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა დადებითი კონოტაციაც კი ჰქონოდა. თუმცა, დღევანდელ მსოფლიოში პროპაგანდა ცალსახად უარყოფით ფენომენადაა მიჩნეული. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საერთო მახასიათებელი ისაა, რომ ისინი კამპანიურად და მიზანმიმართულად ვრცელდება. თანამედროვე სამყაროში პროპაგანდა და დეზინფორმაცია თითქმის სინონიმებად იხმარება.

ყალბი ამბავი (Fake News) არის ცალკე აღებული ამბავი (განსხვავებით დეზინფორმაციისა და პროპაგანდისგან, რომლებიც უფრო მასშტაბურ და განგრძობით პროცესს უკავშირდება), რომელიც შეცდომაში შემყვან ინფორმაციას

³ ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის. „როგორ გავარჩიოთ დეზინფორმაცია, პროპაგანდა და ყალბი ამბავი“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2y1VM0T>

⁴ საქართველოს პარლამენტის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე მოკვლევის ჯგუფი. 2020. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3fdGsUH>

მოიცავს. ყალბი ამბავი შესაძლოა სრულად გამოგონილი იყოს ან ნამდვილ ამბავს შეიცავდეს, რომელიც კონტექსტიდან ამოგლეჯილადაა წარმოდგენილი, გაზვიადებულია და საერთო ჯამში, მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს.

ინფორმაციის მანიპულაციის კონტექსტში, ხშირად გამოიყენება ე.წ. ტროლები და ბოტები. პარლამენტის თანახმად:

ტროლი - წარმოადგენს ტერნეტ აქტივისტს, რომელიც ხშირად და განზრახ აქვეყნებს რადიკალური და პროვოკაციული შინაარსის მესიჯებს სოციალურ მედიაში და სხვა სახის ინტერნეტ ფორუმებზე. ტროლი შეიძლება ამას თავისი ნება-სურვილით აკეთებდეს, ზოგჯერ კი - გასამრჯელოს სანაცვლოდ. ტროლის მიზანია კონსტრუქციულ განხილვებში უთანხმოების შეტანა და ობიექტური სიმართლის დაჩრდილვა.

ბოტი - წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამას, რომელიც ასრულებს ავტომატურ და განმეორებით ბრძანებებს, ზოგჯერ კი ეწევა საზიანო ქმედებებს. სოციალური მედიის ბოტი შესაძლოა იყოს დაპროგრამებული ყალბი ანგარიში, რომელიც ტროლის (იხ. ზემოთ) მსგავს საშუალებებს იყენებს და იმავე მიზნებს ემსახურება. ბოტები, მათი მიზანმიმართული გამოყენებისას, ხშირად ერთიანდებიან ქსელებში (ბოტნეტები), რომლებიც ერთმანეთის ინფორმაციას იმოწმებენ, საკუთარი სანდოობის გაზრდის მიზნით.

ანტიდასავლური პროპაგანდა, დეზინფორმაცია, ყალბი ამბები და საქართველო ვინ ავრცელებს და რატომ?

ყალბი ამბები, დეზინფორმაცია და პროპაგანდა მხოლოდ 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი არ არის. პროპაგანდისა და დეზინფორმაციის უძველესი მაგალითები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გვხვდება. ძვ.წ 350-283 წლებში შექმნილი უძველესი სანსკრიტული ტრაქტატი - არტაშასტრა, რომელიც საფუძვლად დაედო მაურიების იმპერიას ინდოეთში, პროპაგანდის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად მიიჩნევა. ძველ საბერძნეთში პროპაგანდისთვის აქტიურად იყენებდნენ თეატრალურ წარმოდგენებს, რომლებიც დიდი პოპულარულობით სარგებლობდა მოსახლეობაში.

გავრცელებული პრაქტიკა იყო, რომ სცენარისტები შეკვეთილ თეატრალურ სცენარებს ფულის სანაცვლოდ წერდნენ.

ცნობილი რომაელი ისტორიკოსის ტიტუს ლივიუსის (ძვ.წ 57 - ახ.წ 19) ნაშრომები, პრო-რომანული პროპაგანდის შედეგად მიიჩნევა. რომში, ასევე აქტიურად იყენებდნენ მონეტებს სხვადასხვა პროპაგანდისტული მესიჯების გასავრცელებლად. ვინაიდან მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა, მონეტები ინფორმაციის გადასაცემად ეფექტური საშუალება იყო. მონეტებზე პოლიტიკური ლიდერები და წარჩინებული (მდიდარი) ადამიანები მათ განმადიდებელ გამოსახულებებსა და სიმბოლოებს დაიტანდნენ, რითიც საკუთარი ძლევამოსილების იმიჯს ამკვიდრებდნენ მოსახლეობაში. ასევე, იყო შემთხვევები როდესაც მონეტები მოწინააღმდეგის იმიჯის დასაზიანებლად გამოიყენებოდა (მაგალითისთვის მარკ ანტონიუსის და კლეოპატრას გამოსახულების მქონე მონეტები, რომლებიც ანტონიუსს კლეოპატრას მარიონეტად წარმოაჩენდა).

უახლესი ისტორიიდან კარგადაა ცნობილი ნაცისტური გერმანიისა თუ საბჭოთა კავშირის პროპაგანდა. ძალაუფლების შესანარჩუნებლად ნაცისტური გერმანია აქტიურად იყენებდა პროპაგანდას, რომლის მეშვეობითაც მტრის ხატებს (ანტისემიტური პროპაგანდა) ქმნიდა და ებრაელებისა თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ მიმართულ სასტიკ პოლიტიკას ამართლებდა, სხვა ხალხებთან შედარებით „არიულ რასას“ აღმატებულად წარმოაჩენდა, ადიდებდა პიროვნების კულტს და ა.შ.

ანალოგიურად მუშაობდა საბჭოთა პროპაგანდაც, რომელიც მოსახლეობას კვებავდა ტყუილებით, ძალავდა რეალურ ფაქტებს, ქმნიდა პიროვნების კულტს (მაგ. ლენინი, სტალინი), ერთადერთ ჭეშმარიტებად საბჭოთა კომუნისტურ იდეოლოგიას წარმოაჩენდა და ფართომასშტაბიან რეპრესიებს მიმართავდა. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირი ასევე აქტიურად იყენებდა დეზინფორმაციას დასავლეთისგან მტრის ხატის შესაქმნელად. უშუალოდ საქართველოსთან მიმართებაში, მაგალითად, საბჭოთა პროპაგანდა პირველი რესპუბლიკის დელეგატიმაციას, იმდროინდელი მთავრობის კაპიტულანტურ ძალად წარმოდგენას აქტიურად ცდილობდა⁵.

⁵ 70 წლიანი პროპაგანდის მიერ დამკვიდრებული მითები და კლიშეები დღემდე ცოცხალია. სკოლის ისტორიის წიგნების ნაწილი დღემდე იმეორებს საბჭოთა პროპაგანდისტულ მესიჯებს პირველი რესპუბლიკის შესახებ. უფრო ვრცლად იხილეთ „სამოქალაქო საქართველოს“ მიმოხილვა <https://civil.ge/ka/archives/340746>

საბჭოთა კავშირი პროპაგანდას საერთაშორისო დონეზე აქტიურად იყენებდა და ამისთვის, უზარმაზარი ბიუროკრატიული მანქანა იყო შექმნილი. ერთ-ერთი ყველაზე აშკარა ოპერაცია უკავშირდება 1985 წელს დაწყებულ დეზინფორმაციის კამპანიას შიდსის შესახებ, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს აივ ინფექცია აშშ-ის მიერ ხელოვნურად შექმნილი ბიოლოგიური იარაღი იყო. აღნიშნული კამპანია ოპერაცია „INFEKTION-ის“ სახელით არის ცნობილი. 1992 წელს, რუსეთის სადაზვერვო სამსახურის უფროსმა, ყოფილმა პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი პრიმაკოვმა, აღიარა, რომ ამ დეზინფორმაციული კამპანიაში საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტი (KGB) მონაწილეობდა⁶.

თანამედროვე მსოფლიოში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებმა ხელახალი აქტუალობა 2014 წელს რუსეთის მხრიდან უკრაინაზე თავდასხმისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ შეიძინა. ომში, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში დღემდე გრძელდება, კრემლი ტრადიციული სამხედრო ძალის გარდა, აქტიურად იყენებს დეზინფორმაციასა და პროპაგანდას. მსოფლიოს ყურადღება მოსკოვიდან მომავალი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ, განსაკუთრებულად სწორედ უკრაინაში დაწყებული საინფორმაციო ომის შემდეგ გაძლიერდა.

უკრაინის შემდეგ, რუსეთი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამოყენებით ამერიკის შეერთებული შტატების არჩევნებში, ესპანეთისა და გაერთიანებული სამეფოს რეფერენდუმებში, ევროპარლამენტის არჩევნებისა და მრავალი ევროპული ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩაერია.

გამონაკლისი არც საქართველოა. უფრო მეტიც, საქართველო შესაძლოა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა და სატესტო პლაცდარმი იყო, სადაც რუსეთმა დეზინფორმაციის გავრცელება დაიწყო. მაგალითად, 2005-2008 წლის პერიოდში, კრემლი აქტიურად ავრცელებდა დეზინფორმაციას და ნიადაგს ამზადებდა საქართველოში შემოჭრის გასამართლებლად.

დღეისათვის, საქართველოში რუსული პროპაგანდა და დეზინფორმაცია აქტიურად მუშაობს. რუსეთის მთავრობის მიერ კონტროლირებული ე.წ. მედიის გარდა, საქართველოში კრემლის პროპაგანდა და დეზინფორმაცია ძირითადად ქართული არხებით ვრცელდება. საქართველოში რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის

⁶ ცენტრალური სადაზვერვო სამსახური (CIA), „საბჭოთა დაზვერვა და შიდსის შესახებ დეზინფორმაცია“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3fg8VcA>

ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ევროკავშირი და დასავლეთია. რუსეთი უკვე წლებია დეზინფორმაციის სხვადასხვა ტექნიკით ცდილობს ნეგატიურად წარმოაჩინოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვა სფეროებში. ყველაზე ხშირად, რუსული პროპაგანდა და დეზინფორმაცია აქცენტს ქართულ და ევროპულ ფასეულობათა შეუთავსებლობაზე აკეთებს და ცდილობს ევროკავშირი საქართველოს ისტორიისთვის, ტრადიციისა და კულტურისათვის შეუსაბამოდ წარმოაჩინოს. უმეტესწილად, ამას ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე პედალირებით ცდილობს, როგორებიცაა: უმცირესობათა, როგორც ეთნიკური, ისე რელიგიური და სექსუალური, უფლებების დაცვის საკითხები.

ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მიზნები და ამოცანები

საქართველოში პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული კამპანიების ძირითადი მიზნებია:

- საქართველოს მოქალაქეებში დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის შესუსტება;
- დასავლური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების მიმართ ნდობისა და მხარდაჭერის შემცირება;
- რუსეთის წარმოჩენა როგორც საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოების, ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნების გარანტორად წარმოჩენას;
- ღიად პრორუსული (არა ანტირუსული) პოლიტიკური ძალის საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლა;

აღნიშნულ მიზნების მისაღწევად რუსეთს შემდეგი ამოცანები აქვს, რომელთა შესრულებასაც მათ შორის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელების მეშვეობით ცდილობს:

- საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ქართულ კულტურასა და იდენტობასთან შეუთავსებლად და დამაზიანებლად წარმოჩენა;
- საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საფრთხედ წარმოჩენა საქართველოს უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის;

- საქართველოსა და დასავლურ სტრუქტურებს/პარტნიორებს შორის თანამშრომლობისა და მისი შედეგების მნიშვნელობის შემცირება;
- საქართველოში ადგილობრივი ჯგუფების (მედია, არასამთავრობო, გავლენის აგენტები, პოლიტიკური პარტიები, სასულიერო პირები) მობილიზება და მათი გამოყენებით პოლიტიკურ დღის წესრიგზე ზემოქმედება; მათი გამოყენება ანტიდასავლური და პრორუსული განწყობების გასაღვივებლად და მოქალაქეებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ლიბერალური ღირებულებების დისკრედიტაციისთვის.

სამწუხაროდ, რუსეთის უპირველესი საფრთხე მის საზღვრებთან ახლოს დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობაა. განსაკუთრებით საშიში მისთვის სწორედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიული განვითარებაა, რადგან ამ ქვეყნებში დემოკრატიული წარმატება რუსეთში არსებული ავტორიტარული რეჟიმისა და პირადად პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის, რომელიც 2000 წლიდან არის ხელისუფლების სათავეში და რუსეთის დუმის (პარლამენტის) გადაწყვეტილებით, კონსტიტუცია მალე მის უვადო პრეზიდენტობასაც დაუშვებს, ძალაუფლებისთვის დიდი საფრთხეა. საქართველოს უკვე მრავალი წელია არჩეული აქვს დასავლური კურსი, რაც უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიული ინსტიტუტების უზენაესობას, სამართლიან და დამოუკიდებელ მართლმსაჯულებასა და მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას გულისხმობს. აღნიშნული კი ხელს უშლის რუსეთის სტრატეგიულ მიზანს, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის საქართველო, საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს და მათი დემოკრატიული განვითარება შეაფერხოს.

თანამედროვე რუსეთის აგრესიული და მავნე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიზნებს კარგად ასახავს ვალერი გერასიმოვის, რუსეთის გენშტაბის უფროსის მოხსენება, რომელიც მან 2013 წლის იანვრის ბოლოს, მოსკოვში გამართულ რუსეთის სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის კრებაზე გააკეთა. კრებიდან ერთი თვის შემდეგ გენშტაბის უფროსის მოხსენების მოკლე ვარიანტი დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ ВПК-ში (Военно-Промышленный Курьер): „21-ე საუკუნეში, ჩვენ მოწმენი ვართ ტენდენციისა, როცა მკვეთრი საზღვარი ომისა და მშვიდობის მდგომარეობებს შორის იშლება. ომების გამოცხადება აღარ ხდება და როცა კონფლიქტი იწყება, იგი არ მიჰყვება მის ჩვეულ მოდელს. (...) თავად "ომის წესები" მნიშვნელოვნად შეიცვალა. ძალზე გაიზარდა არასამხედრო მეთოდების როლი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, რაც საკუთარი ეფექტიანობით ზოგჯერ იარაღის ძალასაც კი

ბევრად აღემატება. დაპირისპირებისას, აქცენტი სამხედრო მეთოდებიდან გადადის ისეთ არასამხედრო მეთოდების ფართოდ გამოყენებაზე, როგორებიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული, ჰუმანიტარული და სხვა არასამხედრო საშუალებები. ყოველივე ამას დაემატა ფარული ბუნების სამხედრო ზომები, მათ შორის (...) სპეციალური ძალების ფარული ოპერაციები“⁷. ის რაც გერასიმოვმა სტატიაში ასახა, ზუსტად აღწერს კრემლის მიერ წარმოებულ ჰიბრიდულ ომს, რაც შეიძლება დაიწყოს დეზინფორმაციით, გაგრძელდეს კიბერთავდასხმით და საბოლოოდ „მწვანე კაცუნების“⁸ უცხო ქვეყანაში შეჭრით ან სამივე ერთად. გერასიმოვის სიტყვით გამოსვლიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის გამოსვლის მთავარი პოსტულატები რუსეთმა უკრაინაში დაწყებული ჰიბრიდული ომის სახით განახორციელა.

2013 წლიდან რუსეთის ფედერაციამ ცივილიზებულ სამყაროს საინფორმაციო ომი ფაქტობრივად ღიად გამოუცხადა, როდესაც საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის ინფორმაციისა და მასმედიის იარაღად გამოყენება მის სტრატეგიულ დოკუმენტებშიც აისახა. რუსეთის 2013 წლის (და 2016 წლის) საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ხედვებს განსაზღვრავს, საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ე.წ. „რბილი ძალის“ მნიშვნელობას, მათ შორის ინფორმაციისა და მასმედიის გამოყენებას მკაფიოდ გამოყოფს⁹.

⁷ რადიო თავისუფლება. „ჰიბრიდული თუ უბრალოდ ომი?“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3cbpHaA>

⁸ ტერმინი “მწვანე კაცუნები“ გაჩნდა 2014 წელს ყირიმის ანექსიისას, რომლის დროსაც რუსეთის პროფესიონალმა სამხედროებმა სტრატეგიული ობიექტები დაიკავეს. მათ ეცვათ სამხედრო უნიფორმები, თუმცა, მაიდენტიფიცირებელი სამხრეები არ ეკეთათ. შესაბამისად, ისინი ცდილობდნენ დაეფარათ, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენდნენ.

⁹ რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. 2013. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2zLtzRp>

რას გვატყუებს ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია და როგორ?

დეზინფორმაციის ტექნიკები

პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გასავრცელებლად კრემლი და მასთან დაკავშირებული ჯგუფები ბევრ ტექნიკას იყენებენ, ყალბი ამბავი მათგან მხოლოდ ერთ-ერთია¹⁰:

დეზინფორმაციის ტექნიკა	განმარტება
პინგ-პონგი	აღნიშნული ტექნიკა სასურველი ამბის ფართოდ გასავრცელებლად პარტნიორი ვებგვერდების ქსელის კოორდინირებულად გამოყენებას გულისხმობს. მაგალითად, ერთი სააგენტო აქვეყნებს ამბავს, რომელსაც მეორე და მესამე პარტნიორი ვებგვერდი გადაბეჭდავს და წყაროდ პირველს მოიყვანს. ამგვარად, ხდება ერთი კონკრეტული დეზინფორმაციის ფართო გავრცელება. სხვადასხვა მედიასაშუალებაში ერთი და იმავე ამბის ნახვა კი, თავის მხრივ, ამბავს დამატებით დამაჯერებლობას სძენს.
შეცდომაში შემყვანი სათაური	ამ შემთხვევაში სტატიაში მოყვანილი ფაქტები და განცხადებები სწორი ან მეტწილად სწორია, თუმცა, საკუთრივ

¹⁰ ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის (CEPA) კლასიფიკაცია. ხელმისაწვდომია <https://www.cepa.org/disinfo-techniques>

	<p>სათაური შეცდომაში შემყვანია. მაგალითად, ანტიდასავლურმა მედიასააგენტო ალტ-ინფომ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ირლანდიის რეფერენდუმის წინ ფეისბუქმა აბორტის საწინააღმდეგო რეკლამები დაბლოკა“. სტატიაში მინიშნებულია (თუმცა არასრულად), რომ აღნიშნულში იგულისხმებოდა უცხო ქვეყნიდან დარეკლამებული ინფორმაცია. თუმცა, სააგენტომ სპეციალურად გაამწვავა სათაური და შეცდომაში შეიყვანა მკითხველი თითქოს Facebook-მა ირლანდიაში რეფერენდუმის დროს მხოლოდ აბორტის საწინააღმდეგო რეკლამები აკრძალა.</p>
<p>მტკიცებულების გარეშე</p>	<p>ფაქტებისა და განცხადებების გავრცელება მათი ნამდვილობის დამადასტურებელი მტკიცებულების ან წყაროს მოყვანის გარეშე ხდება.</p>
<p>ე.წ. ბანქოს ჩაწყობა</p>	<p>მოყვანილი ფაქტები ან განცხადებები ნაწილობრივ სწორია. აღნიშნულ ტექნიკასთან საქმე მაშინ გვაქვს, როდესაც ინფორმაცია სწორია, თუმცა, მისი მიწოდება შერჩევითად ხდება, ან ამბიდან მნიშვნელოვანი ფაქტები საერთოდ ამოღებულია. როგორც წესი, კრემლი ამ ტექნიკას იყენებს, რათა აუდიტორია ისეთ დასკვნამდე მიიყვანოს, რომელიც წინასწარ შემუშავებულ ან ცრუ ნარატივში ჯდება.</p>
<p>ყალბი ფაქტები/ამბავი</p>	<p>ამ შემთხვევაში, გავრცელებული ფაქტები ან განცხადებები ყალბია. მაგალითად, შეიძლება სტატიაში მოყვანილი იყოს ისეთი ინტერვიუ,</p>

	რომელიც სინამდვილეში არასდროს ჩაწერილა, ან ახალ ამბებში მოხვედრილი იმგვარი მოვლენა, რომელსაც რეალურად ადგილი არ ჰქონია.
ყალბი ვიზუალური მასალა	ყალბი ფაქტების ტექნიკის ერთ-ერთი ვერსიაა და ის ყალბი ან მანიპულაციური ვიზუალური მასალის გამოყენებას გულისხმობს. მის დანიშნულებას ყალბი ფაქტის ან ნარატივისთვის დამატებითი სანდოობის შექმნა წარმოადგენს.
ფაქტების უარყოფა	ყალბი ფაქტების ტექნიკის კიდევ ერთი ვერსიაა, რომელიც რეალური ფაქტების უარყოფას ან მათი სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებას გულისხმობს. აღნიშნული ტექნიკის ფარგლებში, გარკვეულ მოვლენასთან კავშირში მყოფი რეალური ფაქტები შესაძლოა განხილული იყოს, თუმცა მათი ჭეშმარიტება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.
გაზვიადება და განზოგადება	ამ მეთოდით ვითარების დრამატიზება, უსაფუძვლო განგაშის ატეხვა ან წინმსწრები პოზიციის გამოყენებით დასკვნის გამოტანა ხდება. Totum pro parte მასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ტექნიკაა.
Totum pro parte (ნაწილის მთლიანად წარმოჩენა)	ამ შემთხვევაში, მცირე ნაწილის მოსაზრების განზოგადება ხდება მთლიან ჯგუფზე/ორგანიზაციაზე. მაგალითად, ერთი ჟურნალისტის ან ექსპერტის შეხედულებების ისე წარმოჩენა, თითქოს ის ხელისუფლების ოფიციალური ხედვაა.
ციტატის, წყაროს ან კონტექსტის შეცვლა	ფაქტები და განცხადებები სხვა წყაროზე დაყრდნობით ვრცელდება, მაგრამ გავრცელებული ინფორმაცია

	<p>თავდაპირველი, ორიგინალი ვერსიისგან განხვავდება, ან უახლეს სარედაქციო ცვლილებებს არ შეესაბამება. მაგალითად, ციტატა სწორია, თუმცა პიროვნება, რომელსაც ის მიეწერება შეცვლილია, ან ციტატის კონტექსტი იმგვარადაა გადაკეთებული, რომ ორიგინალ ტექსტში მისი არსი ან მნიშვნელობა შეცვლილია. მაგალითად, News Front Georgia-მ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „აშშ-ის თავდაცვის მინისტრს წამოსცდა - „5 ჯი“ შესაძლოა, დამანგრეველი მოქმედების იყოს“. აღნიშნული მართლაც თქვა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, თუმცა ესპერმა 5G-ს შესახებ ჩინური კომპანიების კონტექსტში ისაუბრა და საფრთხეები არა ახალი თაობის მობილურ ქსელში, არამედ ჩინურ ინფრასტრუქტურაში დაინახა.</p>
<p>მანიპულაციური სიტყვები ან მეტაფორები</p>	<p>აღნიშნული ტექნიკა ტერმინებისა და მეტაფორების მანიპულაციურად, ყალბი ნარატივის მხარდასაჭერად, ან სწორი ნარატივის დასამალად გამოყენებას გულისხმობს; ამის მაგალითია ამბის აღსაწერად, სიტყვის - „მკვლელობის“ ნაცვლად, ისეთი ტერმინის გამოყენება, როგორცაა „იდუმალი სიკვდილი“.</p>
<p>დაცინვა, ეჭვის შეტანა, დაკნინება</p>	<p>ფაქტების, განცხადებების ან ადამიანების მარგინალიზება დაცინვის, შეურაცხყოფის, მათი ავტორიტეტის შელახვის მეშვეობით.</p>
<p>კონტრბრალდებები (Whataboutism)</p>	<p>ცრუ შედარებების გამოყენება წინასწარ შემუშავებული ნარატივის მხარდასაჭერად ან პოლიტიკური ქცევის</p>

	<p>გასამართლებლად - „ჩვენ შეიძლება ცუდები ვართ, მაგრამ სხვებიც ჩვენსავით ცუდები არიან“, ან „ყირიმის ანექსია ერაყში შეჭრის მსგავსი იყო“. საქართველოს შემთხვევაში მსგავსი ტექნიკა ხშირად გამოიყენება რუსეთის ოკუპაციის გადასაფარად: მაგალითად, „რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ თურქეთიც ხომ ოკუპანტია?“ კონტრბრალდებები ხშირად ad hominem (გრძნობებსა და განწყობაზე და არა გონებაზე გათვლილ) შეტევის ტექნიკასთან ერთად გამოიყენება.</p>
<p>ნარატივის „გათეთრება“</p>	<p>აღნიშნული ტექნიკა ინფორმაციის წყაროს ან მტკიცების წარმოშობის შენიღბვას ან მის „გათეთრებას“ გულისხმობს და ის მაშინ გამოიყენება, როდესაც საექვო რეპუტაციის ე.წ. ექსპერტი ყალბ ფაქტებს ან ნარატივებს სიმართლედ წარმოაჩენს. ხშირად პროპაგანდის გამავრცელებელი საშუალებები ცდილობენ პოპულარულ მედიას მიზანძინ. ამ მიზნით, სატელევიზიო პროგრამაში სტუმრად იწვევენ „ექსპერტს“ ან „მკვლევარს“, რომლის მიერ გაჟღერებული ყალბი ფაქტი ან ნარატივი შემდგომში ფართო გავრცელებისთვის გამოიყენება. მაგალითად, „ავსტრიული მედია წერს, რომ...“ ან „ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი აცხადებს, რომ...“</p>
<p>დაბალანსებული ეთერის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება</p>	<p>ეს ხდება მაშინ, როდესაც პოპულარული მედია საკუთარი ეთერის „დაბალანსებას“ პროფესიონალი პროპაგანდისტების ან ცრუ</p>

	<p>ჟურნალისტებისა და ექსპერტების მოწვევით ცდილობს. ამის შედეგად, აქტუალურ პრობლემატურ საკითხებზე დისკუსიაში ყალბი ფაქტები და ნარატივები შემოდის. აღნიშნული ტექნიკა უფრო მეტად გავრცელებულია სატელევიზიო ფორმატებში, სადაც დებატები იმართება. საბოლოო ჯამში, პროპაგანდისტები პროცესს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ.</p>
<p>შეფასებების ფაქტებად წარმოჩენა (და პირიქით)</p>	<p>აღნიშნული ტექნიკა სხვადასხვა შეფასების ფაქტებად წარმოჩენას გულისხმობს, რათა გარკვეული ნარატივის მხარდაჭერა, ან მის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა მოხდეს.</p>
<p>შეთქმულების თეორიები</p>	<p>კონსპირაციული ჭორების, მითების და ცალკეული მტკიცებების გამოყენება საზოგადოების ყურადღების გასაფანტად ან შესაშინებლად. მაგალითად: „ნატოს რუსეთში შეჭრა სურს“, „ზიკას ვირუსი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნა“, „ბალტიის საიდუმლო სამსახურების მიერ რუსულ კომპიუტერებში ვირუსის გავრცელება ხდება“, ან „ლატვიას რუსეთის მოსახლეობის საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნა სურს“. ამ ტექნიკის სახესხვაობა მისი შებრუნებული ვერსიაა - ანუ, ფაქტობრივად სწორი ამბისთვის კონსპირაციის იარაღის მიკერება და ამგვარად, მასში ეჭვის შეტანა. მაგალითად, 2019 წლის ოქტომბერში საქართველოში განხორციელდა ფართომასშტაბიანი კიბერთავდასხმა.</p>

	<p>გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ კიბერთავდასხმაზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის (გრუ) მთავარი სამმართველო იყო პასუხისმგებელი. მიუხედავად ამისა, პრორუსულმა მედიამ „გრუს“ დადანაშაულება დასავლეთის კონსპირაციად წარმოადგინა.</p>
<p>„უმრავლესობაზე მიტმასნება“</p>	<p>აღნიშნული ტექნიკა ისეთი შთაბეჭდილების შექმნას გულისხმობს, რომლის მიხედვითაც, „უმრავლესობის“ სახელის გამოყენებით მცდარ ნარატივს/ამბავს ლეგიტიმურობა შესძინოს. მაგალითად, „ხალხი მოითხოვს...“, „ხალხის სურვილია...“, ან „ხალხმა უკეთ იცის“. მაგალითად, პრორუსული მედია ხშირად აპელირებს ქართული და ევროპული ფასეულობების შეუთავსებლობაზე. ხშირად ისინი სწორედ „უმრავლესობის“ არგუმენტით ცდილობენ ამის მტკიცებას: „ქართველი ხალხი არ დაუშვებს ევროკავშირში გაწევრიანებას, რომელიც გვართმევს ტრადიციებს“.</p>
<p>მცდარი დილემა</p>	<p>დეზინფორმაციის ტექნიკა, რომელიც საზოგადოებისათვის მხოლოდ ორი მცდარი ალტერნატივის ჩვენებას გულისხმობს. მაგალითად, „ჩვენ“ და „ისინი“, „ან ნატოში ინტეგრაცია ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“.</p>
<p>ფაქტების ემოციებით ჩანაცვლება</p>	<p>აღნიშნული ტექნიკა გამოიყენება მაშინ, როდესაც ამბავი იმდენად ემოციურადაა გადმოცემული, რომ ფაქტები</p>

	<p>მნიშვნელობას კარგავენ. ამის მაგალითია „ლიზას ქეისი“ - მუსლიმი იმიგრანტების მიერ გერმანიაში მყოფ რუს გოგონაზე სექსუალური ძალადობის შესახებ გავრცელებული ყალბი ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის ეს ისტორია შეთხზული იყო და რეალობას არ შეესაბამებოდა, ემოციებით მანიპულირებამ საზოგადოებას ფაქტების არარსებობა გადაავიწყვა. აღნიშნული მეთოდის ნაირსახეობებია საბჭოთა ნოსტალგიის გაღვივება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ასევე, საქართველოში და ა.შ.</p>
<p>კონტექსტის შექმნა</p>	<p>აღნიშნული ტექნიკა ახალი ამბის მანიპულაციურად წარმოჩენით წინასწარ შემუშავებული ნარატივისთვის კონტექსტის შექმნას გულისხმობს და ყველაზე ხშირად სატელევიზიო ახალი ამბების პროგრამებში გვხვდება. მაგალითად, პრორუსულ მედიას სურდა იმ აზრის გამტკიცება თითქოს ევროპაში მომხდარი ტერორისტული აქტების მიზეზი ევროკავშირის წევრი ქვეყნების რუსეთთან სირიის კონფლიქტის საკითხებზე თანამშრომლობაზე უარის თქმა გახდა. აღნიშნული მტკიცების გაშუქებამდე, სატელევიზიო სიუჟეტი გავიდა, სადაც სირიაში რუსეთის წარმატება და ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ეფექტიანობა გაშუქდა. უკანასკნელმა შექმნა კონტექსტი, რათა მცდარი ნარატივი, თითქოს რუსეთთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო</p>

	მიიღო ევროპამ ტერორისტული აქტები, უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო.
--	---

გავრცელებული ანტიდასავლური და დეზინფორმაციის შემცველი მითები¹¹:

როგორც აღინიშნა, საქართველო უკვე წლებია, რაც ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის სამიზნეა. წლების განმავლობაში, კამპანიურად და რეგულარულად გავრცელებულმა ყალბმა ამბებმა, დეზინფორმაციამ და პროპაგანდამ, ცალკეული საკითხების მითებად (ფართოდ გავრცელებულ საზოგადოებრივ მოსაზრებად) ჩამოყალიბებაც კი გამოიწვია. ქვემოთ მოცემულია „პოპულარული“ მითები, რომლებიც ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის შედეგად საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა.

მითი	რეალობა
ევროკავშირის ღირებულებები ქართულთან შეუსაბამოა	ისტორიულად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და მისი არჩევანი ყოველთვის დასავლური სამყაროსკენ სწრაფვით იყო განპირობებული. ჩვენი ქვეყნის ქრისტიანულმა ღირებულებებმა, რაც გულისხმობს ტოლერანტობას, შემწყნარებლობას, საზოგადოების ყველა ინდივიდის თავისუფლებას, სამართლიანობასა და ოჯახისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას საქართველოს მოსახლეობის დასავლურ მისწრაფებებს ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა. ევროპის კავშირიც სწორედ ქრისტიანულ საფუძვლებსა და მორალზე დგას, რაც მას საშუალებას აძლევს, იყოს მრავალფეროვანი და

¹¹ ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი. 10 მითი ევროკავშირის შესახებ. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/35pvh6K>

	<p>თავისუფლების იდეაზე დაშენებული ერთობა. დეკლარირებულად, ევროკავშირი შემდეგ ძირითად ფასეულობებს ეყრდნობა: ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატიული მმართველობა, თანასწორობა და კანონის უზენაესობა. თუ გადავხედავთ ჩვენს კონსტიტუციას, ის პირდაპირ იმეორებს ზემოთ ჩამოთვლილ ღირებულებებს. თუმცა, კონსტიტუციის გარეშე, საქართველოსთვის ღირსებისა და თავისუფლების, ისევე როგორც დემოკრატიული მმართველობის დახვეწისა და თანასწორობის იდეა, ყოველთვის იყო მისი ბუნებრივი ნაწილი.</p>
<p>ევროკავშირი ოჯახის ღირებულებებს ებრძვის</p>	<p>ოჯახური ღირებულება და ფასეულობა მისი წევრების ურთიერთ პატივისცემასა და სიმტკიცეს გულისხმობს. ხშირად ვრცელდება მოსაზრება, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ოჯახი უცხო ცნებაა და განქორწინებათა რიცხვი განსაკუთრებით მაღალია. შედარებისთვის, მეორე და მესამე ქორწინების პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მაღალია რუსეთის ფედერაციაში (52%), ვიდრე მაგალითად, იტალიაში, ლიეტუვაში, გერმანიაში, ბულგარეთში, ლატვიასა და ა.შ. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ ოჯახში ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ პოლიტიკის შემუშავებას.</p>

	<p>ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პროგრამის ფარგლებში საქართველომ ევროკავშირისგან ასეულობით ათასი ევროს ოდენობით დაფინანსება მიიღო. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირს არ აქვს არანაირი მოთხოვნა (არც წერილობითი და არც ზეპირი) არც ერთი ქვეყნის მათ შორის, საქართველოს მიმართ, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინების დაკანონებას ითვალისწინებს. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა, სადაც ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაკანონებულია, მოქმედებს საკუთარი მოსახლეობის შეხედულებების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არიან ისეთებიც, სადაც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება აკრძალულია და არც სამოქალაქო პარტნიორობის შესაძლებლობაა უზრუნველყოფილი, მაგალითად: პოლონეთში, ლიეტუვაში, ლატვიაში, სლოვაკეთსა და ბულგარეთში. უფრო ნათელი მაგალითისთვის, ხორვატიაში ქორწინება კონსტიტუციაში განმარტებულია, როგორც ქალისა და კაცის თანაცხოვრება.</p>
<p>ევროკავშირში ინტეგრაცია მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიას დაგვაკარგინებს</p>	<p>ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან მართლმადიდებლური სამყაროს ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნები, როგორცაა საბერძნეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ბულგარეთი (40 მილიონამდე ადამიანი). ამასთან, ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის – სერბეთის მოსახლეობის უმრავლესობა</p>

	<p>მართლმადიდებელია. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანებას ზემოაღნიშნული ქვეყნების მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, ისევე, როგორც ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის, არანაირი საფრთხე არ შეუქმნია.</p> <p>თუ განვიხილავთ მორწმუნეთა სტატისტიკას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, აქაც საინტერესო ფაქტებს წავაწყდებით. მაგალითისთვის, პოლონეთის მოსახლეობის 87% საკუთარ თავს ეკლესიის აქტიურ მიმდევრად და მორწმუნედ თვლის.</p> <p>ევროკავშირი უფრთხილდება და პატივს სცემს თითოეული ადამიანის რწმენის თავისუფლებას. ევროკავშირის ქვეყნებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობები ინდივიდუალურად, ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება, ასევე განსხვავებულია ეკლესიის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქვეყნების მიხედვით.</p>
<p>ევროკავშირში ინტეგრაცია ვერ გაგრძელდება ოკუპირებული ტერიტორიებით</p>	<p>ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მისი შემადგენელი ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებით და აღნიშნული საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება.</p> <p>სამართლებრივი თვალსაზრისით, ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებით გაწევრიანებას ნიშნავს.</p>

	<p>არსებობს არაერთი ქვეყნის მაგალითი, რომლებსაც ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების დროს ტერიტორიული და საზღვრების პრობლემები ჰქონდათ. მაგალითად, შეგვიძლია განვიხილოთ კვიპროსი, რომელიც 2004 წელს გახდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. არსებულ კონფლიქტს ევროკავშირში ინტეგრაციის არც ერთ ეტაპზე არ დაუყენებია კვიპროსის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ.</p>
<p>ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლა რიგითი მოქალაქეებისთვის არ არის ხელმისაწვდომი</p>	<p>საქართველო-ევროკავშირის მრავალმხრივი ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება განათლებაა. 1992 წლიდან დღემდე, ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამები მიმართულია საქართველოში განათლების ყველა საფეხურის გაძლიერებისკენ და მოიცავს საგანმანათლებლო სფეროს თითქმის ყველა ასპექტს: სკოლამდელ, საშუალო და უმაღლეს განათლებას. განათლების სფეროში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროგრამა, თავისი ხანგრძლივობით, მასშტაბურობითა და წარმატებით არის Erasmus + (ერასმუს პლუსი). ამჟამად, ერასმუსის პროექტებში საქართველოს 39 უნივერსიტეტია ჩართული, რომლებთანაც 100-ზე მეტი პროექტი განხორციელდა. აღიჭურვა</p>

	<p>ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, ითარგმნა და გამოიცა სახელმძღვანელოები.</p> <p>Erasmus+ გაცვლითი პროგრამების რაოდენობით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა. 2019 წლის მონაცემებით, პროგრამაში 32 ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თანამშრომლობს ევროპის 33 ქვეყნის უნივერსიტეტებთან. პროგრამაში მონაწილე 141 ქვეყანას შორის საქართველო მეექვსე ადგილით პირველ ათეულშია. 2015-2020 წლებში საქართველოს 7480-მა მოქალაქემ ისარგებლა Erasmus+ გაცვლითი პროგრამით.</p> <p>ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა ყოველთვის იყო და არის გამჭვირვალე პროცესი და მასში მონაწილეობა საქართველოს ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია, თუ ის აკმაყოფილებს და ჯეროვნად მისდევს საუნივერსიტეტო და პროგრამის განაცხადის ფორმას.</p>
<p>ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ ევროკავშირის სტანდარტებსა და რეგულაციებს</p>	<p>ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე, ევროკავშირში წარმოებული პროდუქცია დაუბრკოლებლად შემოდიოდა ქართულ ბაზარზე, მისი მაღალი ხარისხიდან და სურსათის უვნებლობის მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე. 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება ქართველ მეწარმეებს ევროკავშირის სტანდარტებზე ეტაპობრივად</p>

	<p>გადასვლაში ეხმარება, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია იქნება მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი არა მხოლოდ ქართულ ბაზარზე, არამედ ევროპულ და სხვა საერთაშორისო ბაზრებზეც.</p> <p>გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული სტანდარტის მისაღწევად, ქართველ მეწარმეებს ეძლევათ გარკვეული პერიოდი და ევროკავშირი გამოყოფს საქართველოსთვის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტებს, რათა წარმოებული პროდუქტის ხარისხი, მიწოდების სტაბილურობა და კონკურენციული გარემო გაიზარდოს.</p> <p>ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედების შედეგად (DCFTA), რომელიც ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, 2017 წლის მონაცემებით 2012 წელთან შედარებით ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი 86%-ით იყო გაზრდილი.</p>
<p>ევროკავშირში საქართველოს მხოლოდ რამდენიმე სახის პროდუქტი გააქვს</p>	<p>2018 წელს, საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 359.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 17.7 პროცენტით აღემატება.</p> <p>გავრცელებულია მოსაზრება, რომ ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან მხოლოდ რამდენიმე სახეობის ხილი თუ იყიდება. სინამდვილეში კი, ფაქტები სხვა</p>

	<p>გარემოებებს გვაჩვენებს. 2018 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 31%-ით (18.1 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 76.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 19%-ით (46.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი) და 291.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.</p> <p>სპირტიან სასმელებთან, მინერალურ წყლებთან, ღვინოსთან, თხილთან და ხილის ჯემებთან ერთად, საქართველომ აქტიურად დაიწყო ისეთი პროდუქციის გაყიდვა როგორცაა, სპილენძის მადანი და კონცენტრატები, აზოტოვანი სასუქები, ფეროშენადნობები, ნედლი ნავთობი და ა.შ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს პირველად მიეცა შესაძლებლობა აწარმოოს ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქციის ექსპორტი, კერძოდ გაიტანოს თაფლი, ასევე შავი ზღვის თევზი და თევზპროდუქტები. მნიშვნელოვანია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ეფექტიანად ათვისების შემდეგ, ჩვენი ექსპორტი გაიზრდება, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე სამრეწველო პროდუქციის მიმართულებით.</p>
<p>ევროკავშირთან ვაჭრობა ჩვენ სხვა სავაჭრო პარტნიორებთან გვაშორებს</p>	<p>საქართველო-ევროკავშირს შორის ვაჭრობას არ აქვს უარყოფითი გავლენა სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო ბრუნვაზე და ზოგადად ეკონომიკურ</p>

	<p>თანამშრომლობაზე. ასოცირების შესახებ შეთანხმება და ევროკავშირთან სხვა თანამშრომლობის ფორმატები არცერთ ეტაპზე არ განიხილავენ საქართველოს სავაჭრო პარტნიორების პრიორიტეტიზაციას. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ევროინტეგრაციის პროცესში დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმები კიდევ უფრო მეტად გაზრდის საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხს და იმიჯს მსოფლიოს მასშტაბით. ეს ყველაფერი კი დაეხმარება ქვეყანას უფრო მაღალი შემოსავლის მიღებასა და სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებაში, მათ შორის ისეთ სახელმწიფოსთან, როგორცაა ჩინეთი, დსთ-ის ქვეყნები და სხვა.</p>
<p>ევროკავშირი არ ერთვება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საკითხში</p>	<p>ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და წამყვან როლს ასრულებს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს სწორედ ევროკავშირის შუამავლობით მოხერხდა რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დადება. კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების პროცესში ევროკავშირის განსაკუთრებულ მხარდაჭერას და ჩართულობას ადასტურებს მის მიერ მთელი რიგი ინსტრუმენტებისა და ფორმატების</p>

	<p>ამოქმედება უშუალოდ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებით, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • ევროკავშირმა დანიშნა სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში კრიზისის საკითხებში, რომლის ამოცანაა, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ევროკავშირის ჩართულობას. • ევროკავშირი წარმოადგენს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეს. • ევროკავშირს საქართველოში მოვლენილი ჰყავს სადამკვირვებლო მისია (European Union Monitoring Mission), რომლის მანდატი ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და გულისხმობს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ზღუდავს მისიის შესვლას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, როგორც ადგილზე ოპერირებად ერთადერთ საერთაშორისო მისიას, აქვს უმნიშვნელოვანესი დატვირთვა ვითარების ესკალაციის
--	---

	<p>პრევენციისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.</p> <p>ევროკავშირი ახორციელებს არალიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და, მეორე მხრივ, ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ჩართულობისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობას. ამასთან, ევროკავშირი ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგების, ხალხთაშორისი კონტაქტებისა და ურთიერთობების ხელშეწყობის საქმეში.</p>
<p>ევროკავშირი აღარ ფართოვდება, რაც არ უნდა გავაკეთოთ, ჩვენ მაინც არ მიგვიღებენ</p>	<p>ხშირად ვრცელდება მოსაზრება, რომ ევროკავშირის გაფართოების პროცესი წლების წინ დასრულდა და ახალი წევრების მიღებით გადაიღალა. აღნიშნული მოსაზრება მცდარია, რაზეც 2018 წლის 6 თებერვალს, ევროკომისიის მიერ დასავლეთ ბალკანეთის რეგიონის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ გამოქვეყნებული სტრატეგიაც მეტყველებს. ახალი სტრატეგია ბალკანეთის რეგიონის ქვეყნებს ევროკავშირის წევრობის რეალურ პერსპექტივას სთავაზობს და მათი გაწევრების თარიღად 2025 წელს ასახელებს. ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე</p>

	<p>ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსით დასავლეთ ბალკანეთის ოთხი სახელმწიფო (ალბანეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი) სარგებლობს, აქარწყლებს მითს იმის შესახებ, რომ ევროკავშირი აღარ ფართოვდება. ასევე, აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ გაერთიანებას ხორვატია შეუერთდა.</p> <p>ამრიგად, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის მნიშვნელოვანია, ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რასაც ორმხრივი ურთიერთობები გვადლევს, მივმართოთ ძალისხმევა რეფორმებისა და ეკონომიკის განვითარებისკენ და მოვამზადოთ საფუძვლიანი ნიადაგი წევრობისთვის.</p>
--	---

ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის არხები და წყაროები


აღნიშნული მითების/სტერეოტიპების ფორმირებას ხელი საქართველოში არსებულმა პრორუსულმა პროპაგანდამ და დეზინფორმაციამ შეუწყო, რომელიც რეგულარულად და განმეორებით ახდენდა და ახდენს არასწორი და ყალბი ამბების გავრცელებას ევროკავშირის საკითხებზე. პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელებაში მედიასაშუალებები ყველაზე დიდ როლს არსულებენ, რომელთა შორის აღსანიშნავია ტრადიციული მედია საშუალებები (ტელევიზია, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობისთვის ინფორმაციის მიღების უმთავრესი წყაროა), სოციალური ქსელები (უპირველესად, Facebook), ონლაინ მედია სააგენტოები, ბეჭდური მედია. ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და თვალსაჩინო ინსტრუმენტს წარმოადგენენ ულტრანაციონალისტური ორგანიზებული ჯგუფები, საზოგადოებისთვის ცნობილი ცალკეული ადამიანები, რომლებიც ყველა ზემოთჩამოთვლილი მედია არხის გარდა,

ასევე აქტიურობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში კამპანიების, აქციების/კონტრაქციების თუ სხვა აქტივობების გამოყენებით. ანტიდასავლური გზავნილების გამავრცელებლად გვევლინებიან ასევე ცალკეული პოლიტიკური პარტიები.

სატელევიზიო სივრცეში გამორჩეულია მედია-კავშირი „ობიექტივი“, რომელიც 2010 წლის აგვისტოში დაფუძნდა. დამფუძნებელთა შორის პოლიტიკური გაერთიანება „პატრიოტთა ალიანსის“ ამჟამინდელი გენერალური მდივანი ირმა ინაშვილი იყო, რომელიც ტელეკომპანიის მმართველობაში 2014 წლიდან აღარ ფიგურირებს. „ობიექტივის“ მაუწყებლობა სატელევიზიო სიხშირის გარდა, რადიო სიხშირით და ინტერნეტით ხორციელდება. პროპაგანდისტულ და დეზინფორმაციულ საშუალებებში ასევე გამოიყოფა ბეჭდური მედიის ისეთი გამოცემები, როგორებიცაა: ასავალ-დასავალი, საქართველო და მსოფლიო, და სხვ. მედია სააგენტოებში ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელებაში გამოირჩევიან: „საქართველო და მსოფლიო“, „ნიუს-ფრონტი“, „საქინფორმი“, „მარშალპრესი“, „მედიასითი“, „ალტ-ინფო“, სხვ.

თუმცა, ბოლო ხანებში გაცილებით უფრო აქტიურები და პოპულარულები გახდნენ როგორც ზემოთჩამოთვლილი ონლაინ მედია სააგენტოების, ასევე ცალკეული ულტრანაციონალისტური ჯგუფების Facebook გვერდები¹²:

¹² ნატა ძველიშვილი, 2018. „პროქართული შეცვლილი პრორუსული ნარატივი“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2KR5Osm>



ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას აქტიურად ცდილობენ ცალკეული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიც. წლების განმავლობაში საქართველოში მოქმედი რუსეთთან კავშირში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ფონდები, როგორც წესი, ერთსა და იმავე ადამიანების დაარსებული იყო. მაგალითად, „ევრაზიის ინსტიტუტი“ და „ევრაზიული არჩევანი“, წლების განმავლობაში აფუძნებდნენ და კავშირში იყვნენ მკვეთრად პრორუსულ და ანტიდასავლურ ორგანიზაციებთან და ჯგუფებთან. ამ ფონდების პარტნიორი ორგანიზაციები იყვნენ ქართული გამოცემები “საქართველო და მსოფლიო”, “საქინფორმი”, “ივერიონი”, “ლევ გუმილევის ცენტრი”¹³. თავის მხრივ, „ევრაზიის ინსტიტუტის“ დამფუძნებელია გულბაათ რცხილაძე, რომელიც ასევე „ნიუს-ფრონტის“ რედაქტორია.

საქართველოში უშუალოდ რუსული ორგანიზაციებიც მუშაობენ, რომელთა მიზანს პრორუსული და ანტიდასავლური მსოფლმხედველობის გავრცელება წარმოადგენს.

¹³ დეტალურად ამ ორგანიზაციების შესახებ იხ. <https://idfi.ge/public/upload/Meri/Russian%20Influence%20on%20NGOs%20and%20Media.pdf>

ამის მაგალითია, ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც, მაგალითად, 2015 წლიდან ქართველი ახალგაზრდებისათვის რუსული ენის უფასო კურსებს ატარებს „ა.მ. გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდამჭერ ფონდთან და ფონდ „რუსულ სამყაროსთან“ ერთად¹⁴. კურსების პარალელურად, ორგანიზაცია ხშირად აწყოებს სემინარებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში და უშუალო კომუნიკაციით ცდილობს მოქალაქეებში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას. თავის მხრივ, ფონდი „რუსული სამყარო“ 2007 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა რუსული ენის, როგორც “რუსეთის ეროვნული მემკვიდრეობის და რუსეთისა და მსოფლიოს მნიშვნელოვანი ელემენტის” პოპულარიზაციისთვის. „ალექსანდრე გორჩაკოვის სახელობის სახალხო დიპლომატიის ფონდიც“ რუსეთის პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა 2010 წელს და რუსეთის სახელმწიფო ფულით ფინანსდება.¹⁵ ევგენი პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელი ამჟამად დიმიტრი ლორთქიფანიძეა, რომელიც „ქართულ მარშთან“ თანამშრომლობს.¹⁶ აღნიშნული ცენტრი რუსული ინტერესების პირდაპირი გამტარებელია, ვინაიდან ის რუსული მსოფლმხედველობის გავრცელების მიზნითაა შექმნილი.

როდესაც რუსულ მსოფლმხედველოზე ვსაუბრობთ, აღნიშნულში ის „რეალობა“ იგულისხმება, რომლის დანახვაც ოფიციალურ მოსკოვს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის სურს. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, რუსული მსოფლმხედველობით ცხინვალის და აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან. კრემლის ხედვით, საქართველო ის „უმცროსი“/პატარა ქვეყანაა, რომელიც ვერ იქნება დამოუკიდებელი და „უფროსი“ და „ისტორიული ძმის“ რუსეთის „მფარველობის ქვეშ უნდა იყოს“.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანტიდასავლური დეზინფორმაცია და პროპაგანდა საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებში არსებულ შიშებსა და სისუსტეებს იყენებს და სწორედ მათზე დაყრდნობით ამუშავებს ცრუ გზავნილებსა და ნარატივებს. აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია აჭარის მოსახლეობისთვის და სამცხე-ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობისთვის შემუშავებული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანია, რომელიც

¹⁴ <https://goo.gl/bXi9gZ>

¹⁵ <https://www.gorchakovfund.ru/georgia/>

¹⁶ <https://www.transparency.ge/ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia>

ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში თურქული ჯარის საქართველოში შემოსვლის შესაძლებლობებში არწმუნებს მოსახლეობას. ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეებისთვის ისტორიული ტრავმის გამოყენებით, რუსეთი ცდილობს საქართველოს მოქალაქეთა გახლეჩვას და მათ შეხედულებებზე გავლენის მოხდენას. მსგავსადვე, აჭარის მოსახლეობაზე ყარსის ხელშეკრულების შესახებ ყალბი ნარატივის გავრცელებით, ის თანამედროვე თურქეთის საფრთხედ წარმოდგენას ცდილობს.

ამ მხრივ ასევე გამოირჩევა პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ და მასთან აფილირებული ტელეკომპანია „ობიექტივი, რომლებიც თურქეთს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაციაში ადანაშაულებს. ამ კონტექსტში ყარსის ხელშეკრულებას იყენებენ. ხელშეკრულებას 1921 წელს ხელმოწერიდან 2021 წელს 100 წელი უსრულდება, რასაც „პატრიოტთა ალიანსი“ და პრორუსული დეზინფორმაცია საფრთხედ იმ ცრუ არგუმენტით წარმოაჩენს, თითქოს 100 წლიანი ვადის შემდეგ თურქეთი პრეტენზიას აჭარის დაბრუნებაზე გამოთქვამს. ამავე კონსპირაციის ნაწილია ის, რომ ყარსის ხელშეკრულება მუსლიმებისთვის რეფერენდუმის ჩატარების უფლებას ითვალისწინებს. აღნიშნული საკითხი „პატრიოტთა ალიანსის“ წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. რეალურად კი, ყარსის ხელშეკრულებაში არ არსებობს მუხლი, რომლის მიხედვითაც აჭარაში რეფერენდუმის ჩატარებაა შესაძლებელი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ საქართველო-თურქეთის ურთიერთობები 1992 წლის 30 ივნისს დადებული ჩარჩო ხელშეკრულებით რეგულირდება - „საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“, რომელიც საქართველოს საერთაშორისოდ მიღებულ ტერიტორიებს აღიარებს¹⁷.

აღნიშნული კამპანია წლების განმავლობაში ყველა შესაძლო პროპაგანდისტული არხის საშუალებით, ტელევიზია (ობიექტივი), ბეჭდური მედია, ონლაინ მედია საშუალებები¹⁸, სოციალური ქსელის გვერდები და პოლიტიკური პარტიები (პატრიოტთა ალიანსი)¹⁹, ხორციელდება.

¹⁷ FactCheck.ge. „მითები და რეალობა ყარსის ხელშეკრულების შესახებ“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3ckS9ai>

¹⁸ <https://factcheck.ge/ka/story/29106-thurqethis-prezidentma-erdoghanma-ganatskhada-rom-bathumi-thurqethis-sazghvrebshi-unda-moeqtzes>

¹⁹ <http://batumelebi.netgazeti.ge/news/57998/>

„პატრიოტთა ალიანსისა“ და მასთან დაკავშირებულ პრორუსული სააგენტოებთან არის დაკავშირებული ყალბი ნეიტრალიტეტისა და სამხედრო მიუმხრობლობის შესახებ კამპანია. „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები საქართველოსთვის სამხედრო მიუმხრობლობის სტატუსის მინიჭებაზე ბოლო წლებია აქტიურად საუბრობენ. 2019 წლის ზაფხულიდან მათ ამ ინიციატივის სისრულეში მოყვანის მოთხოვნით, დემონსტრაციებიც კი გამართეს.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები აღნიშნულ ინიციატივას სხვადასხვა კონტექსტში განიხილავენ. მაგალითად, პარლამენტარმა ადა მარშანიამ საქართველოს მოსახლეობას „სამხედრო მიუმხრობლობის“ ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ მოუწოდა: „საქართველო სხვა 140 ქვეყნის მსგავსად, უნდა შეუერთდეს ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციას - სამხედრო მიუმხრობლობის მოძრაობას. გაეროს შემდეგ ეს ორგანიზაცია ყველაზე წარმომადგენლობითი, მსხვილი და ცნობილია მსოფლიოში“. სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პოპულარიზების მიზნით ირმა ინაშვილმა კი განაცხადა: „საქართველოსთვის დღეს უნიკალურია ავსტრიის, შვედეთის, ფინეთის, შვეიცარიის მოდელი. ჩვენ არცერთი ქვეყნის სამხედრო ბაზა არ გვჭირდება საქართველოში“.

ყალბი ნეიტრალიტეტის პროპაგანდირებასთან ერთად, „პატრიოტთა ალიანსი“ მოქალაქეებს არწმუნებს, რომ NATO-ზე დასახარჯი თანხებით მოქალაქეებს საოჯახო ბიზნესის დაფინანსებაში დაეხმარება. კამპანიის ფარგლებში პარტიამ სააგიტაციო ბუკლეტი გაავრცელა, სადაც მითითებულია: „წელს თავდაცვასა და ნატოს პროექტებზე მილიარდი ლარია გამოყოფილი. აქედან საქართველოს თავდაცვას 600 მლნ სჭირდება, 400 მლნ-ით კი ნატოსგან იარაღი უნდა ვიყიდოთ და საერთოდ ნატოზე უნდა დავხარჯოთ. მომავალ წელს მილიარდ 400 მლნ ლარი უნდა გამოიყოს, აქედან 600 მლნ თავდაცვაზე, 800 მლნ კი კვლავ ნატოს მოხმარდება“. სინამდვილეში კი „პატრიოტთა ალიანსი“ მანიპულირებს. თავდაცვაზე გაწეული ხარჯების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ბიუჯეტის დეტალური ჩაშლისა და შეიარაღების შეძენაზე გაწეული დანახარჯების ზუსტი მონაცემების მიღება ასე მარტივად შეუძლებელია. გარდა ამისა, თავდაცვის ბიუჯეტში გაწერილი ხარჯები არა „NATO-ზე მოხმარებული“, არამედ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად მიემართება²⁰.

²⁰ დეტალურად იხილეთ FactCheck.ge-ის სტატია <https://bit.ly/2SMDxZu>

თავის მხრივ, „პატრიოტთა ალიანის“ რიტორიკა ნეიტრალიტეტისა და სამხედრო მიუმხრობლობის საკითხებზე ყალბია. ნეიტრალიტეტი სახელმწიფოს ისეთი სამართლებრივი სტატუსია, რომელიც სხვა ქვეყნების მიერაა აღიარებული. სხვა შემთხვევაში, ის ვერ იქნება საერთაშორისოდ გარანტირებული. თანაც, ნეიტრალიტეტი შესაძლოა უფრო „ძვირადღირებულიც“ კი იყოს და ის არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ნეიტრალური ქვეყანა ჯარისა და თავდაცვის ინფრასტრუქტურის გარეშე არსებობს. სწორედ ამაზე მეტყველებს შვედეთის, ფინეთის, შვეიცარიის, თუ ავსტრიის გამოცდილება. მეორე მხრივ, „მიუმხრობლობის მოძრაობა“, რომელსაც „პატრიოტთა ალიანსი“ ასევე აქტიურად პროპაგანდირებს, დღეს ფაქტობრივად უფუნქციო საერთაშორისო მოძრაობაა. მასში ფორმალური გაწევრიანება არც საქართველოს უსაფრთხოებას გააუმჯობესებს და არც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, რადგან ამ მოძრაობას მსგავსი არც ფუნქცია და არც ინსტრუმენტები არ გააჩნია²¹.

რუსული პროპაგანდა და დეზინფორმაცია ღიად კრემლის მხარდამჭერ პრო-რუსულ პოლიტიკას არ/ვერ გვთავაზობს, რადგან საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის პირობებში, რთულია ამ თემის მხარდამჭერების მოძიება, სანაცვლოდ კი, გვთავაზობს ყალბ ნეიტრალიტეტს, რომელიც თეორიულად მიმზიდველი შეიძლება ჩანდეს, თუმცა პრაქტიკაში საქართველოსთვის მიუღწეველია. გარდა ამისა, უკრაინისა (რომელსაც „ბლოკგარეშე სტატუსი“ ქონდა გამოცხადებული 2014 წლამდე) და მოლდოვის (დღემდე გაცხადებული აქვს, რომ სამხედრო ბლოკის წევრი არ გახდება) მაგალითები ადასტურებს, რუსეთს შეუძლია ამ სტატუსის გვერდის ავლით აგრესიული განზრახვები და ქმედებები სისრულეში მოიყვანოს.

გთავაზობთ ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის სხვა თვალსაჩინო რამდენიმე მაგალითს:

- ანტიდასავლური მედიასაშუალება „საქართველო და მსოფლიო“ ამტკიცებს, რომ ბულგარეთისა და რუმინეთის ეკონომიკებმა ევროკავშირში შესვლის შემდეგ კრახი განიცადა.

²¹ დეტალურად იხილეთ FactCheck.ge-ის სტატია <https://bit.ly/2LgRQ4s>

სინამდვილეში - მსოფლიო ბანკის ეკონომიკური ზრდის ისტორიული სტატისტიკა აჩვენებს, რომ ბულგარეთსა და რუმინეთს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ყველაზე მაღალი პროცენტული მნიშვნელობა ევროკავშირის წევრობის შემდეგ დაუფიქსირდათ, ბულგარეთს 2007 წელს 7.7%-ის, ხოლო რუმინეთს 2008 წელს 8.5%-ის მაჩვენებლებით (დეტალურად იხილეთ <https://bit.ly/3aWjVZ7>).

2017 წლის 5 ოქტომბერს ინტერნეტგამოცემა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „500 მილიონი ევროს სანაცვლოდ ჩვენი ხელისუფლება 100 ათას ჩრდილოაფრიკელსაც ჩამოსახლებს“. სტატიაში მოყვანილია მიგრაციის საკითხებში ევროკომისარ დიმიტრის ავრამოპულოსის განცხადება, სადაც ის მხარს უჭერს სამართლიანი, ძლიერი და ეფექტური საიმიგრაციო პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭირო შემდგომი ნაბიჯების გადადგმას. ევროკომისიის ახალი გეგმის თანახმად, 50 ათას აფრიკელ თავშესაფრის მაძიებელს საშუალება მიეცემა, მომავალი ორი წლის მანძილზე ევროპაში დასახლდეს. განსახლების პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის ევროკომისიამ 500 მლნ ევრო გამოყო. „საქართველო და მსოფლიოს“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ავტორი დარწმუნებით აღნიშნავს, რომ „500 მილიონი ევროს სანაცვლოდ ჩვენი ხელისუფლება არათუ 50 ათას, 100 ათასი მიგრანტის მიღებაზეც გამოთქვამს მზადყოფნას“.

სინამდვილეში - ევროკომისიის მიერ შემუშავებული საემიგრაციო პოლიტიკა სტატიაში არასწორი კონტექსტით არის გააზრებული. ავტორის მსჯელობიდან იკვეთება, რომ გეგმის მიხედვით 50 ათასი მიგრანტი ერთმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს, სინამდვილეში კი, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული პრეს-რელიზის თანახმად, ეს რიცხვი მთელ კონტინენტზე იყო გათვლილი. გარდა ამისა, „საქართველოს და მსოფლიოს“ მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში მიგრანტების მიღებას დათანხმდება, უსაფუძვლოა, რადგან აღნიშნული მიგრაციის პოლიტიკა მხოლოდ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოიაზრებს და მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. აღნიშნული პროგრამა იმ თავშესაფრის მაძიებელთა განსახლებას გულისხმობდა, რომლებიც იმყოფებოდნენ ევროკავშირის საზღვრებთან [ამ პერიოდში ევროკავშირში ე.წ. მიგრანტთა კრიზისი მიმდინარეობდა, როდესაც ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომისა და არასტაბილურობის შედეგად, მილიონობით თავშესაფრის მაძიებელი

დასახმარებლად მიადგა ევროპის საზღვრებს]. სტატიაში აღნიშნული განსახლების გეგმა 50 ათასი მიგრანტისათვის ლეგალური მიგრაციის საპილოტე პროექტს წარმოადგენდა, რომლის წარმატებით განხორციელებისთვისაც ევროკომისია დამატებით ფინანსებს გამოყოფდა (დეტალურად იხილეთ <https://bit.ly/3aUhPsF>).

- სხვადასხვა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს 2016 წლის მარტიდან ევროკავშირის ქვეყნებში ბავშვის მონათვლა იკრძალებოდა, რადგან ის „ევროპული კონვენციის მე-16 მუხლს“ არღვევდა.

სინამდვილეში - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად - "მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებში არაფერი განიხილება ხელისშემშლელად, დააწესონ შეზღუდვა უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე". მუხლი აბსოლუტურად სხვა თემას ეხებოდა და ბავშვის ნათლობასთან საერთოდ არანაირი კავშირი არ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ინფორმაციას ნაკლებად ცნობილი მედიასაშუალებები აშუქებდნენ. ამასთან, სტატიათა უმრავლესობაში, სადაც ეს ინფორმაცია გაშუქდა, შეინიშნებოდა ზოგადად ევროკავშირისა და ევროპული პოლიტიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება (დეტალურად იხილეთ - <https://bit.ly/2VZpWjG>).

დეზინფორმაცია და სოციალური ქსელები

ანტიდასავლური დეზინფორმაცია საკმაოდ ფართოდ ვრცელდება სოციალურ ქსელებში. Facebook-ს საქართველოს 2 356 000 მოქალაქე იყენებს. სოციალურ ქსელის არადემოკრატიული და მანიპულაციური მიზნებით გამოყენების პრობლემას თავად Facebook-იც აღიარებს. განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნებში რუსეთის ჩარევის დროს გამოვლინდა, რომ სწორედ Facebook-ის საშუალებით ხორციელდებოდა დეზინფორმაციული კამპანიები. აშშ-ში სპეციალური გამოძიება ჩატარდა, რომლის ერთ-ერთ მიზანსაც რუსეთის შესაძლო ჩარევის შესწავლა წარმოადგენდა. გამოძიებას ფედერალური ბიუროს ყოფილი დირექტორი, რობერტ მალერი ხელმძღვანელობდა. ორწლიანი მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში რუსეთის ჩარევა მასშტაბური და სისტემური ხასიათის იყო. მალერის ანგარიშში აღნიშნულია, რომ რუსეთი არჩევნებზე გავლენის მოსახდენად ორ მეთოდს იყენებდა: სოციალური მედიის მეშვეობით აგიტაციას და კონფიდენციალური

ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებასა და გავრცელებას. მაგალითად, არჩევნებზე ზემოქმედების კამპანიის ფარგლებში, სანქტ-პეტერბურგში ბაზირებულმა ორგანიზაციამ - IRA (ინტერნეტის კვლევითი სააგენტო), ფეისბუკ რეკლამებში, რომლებიც კლინტონის საწინააღმდეგო და ტრამპის მხარდამჭერ შინაარსს შეიცავდა, დაახლოებით, 100,000 აშშ დოლარი დახარჯა²².

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის მსგავსად, კრემლი სოციალურ მედიას სხვადასხვა ქვეყნის საშინაო საქმეებზე გავლენის მოსახდენად აქტიურად მიმართავს. ამის მაგალითია 2017 წლის ესპანეთში, კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმში ჩარევა, რომლის ფარგლებშიც, ესპანეთის მთავრობის ინფორმაციით, საზოგადოების განწყობების სეპარატისტების სასარგებლოდ შესაცვლელად, რუსეთი სოციალურ მედიაში ე.წ. „ბოტებსა“ და სოციალური მედიის ყალბ ანგარიშებს იყენებდა.

ამ შემთხვევების ფონზე, Facebook-მა თავადაც შეიმუშავა დეზინფორმაციასთან, ყალბ ანგარიშებთან და მტრული აქტორების კოორდინირებულ საქმიანობასთან ბრძოლის მექანიზმები. Facebook-ის ერთ-ერთი ინსტრუმენტი კოორდინირებულ და არაავტენტურ ქცევასთან ბრძოლაა. კოორდინირებული და არაავტენტური ქცევა ისეთ ქმედებას გულისმობს, როდესაც გვერდები ან ადამიანები მუშაობენ ერთი სცენარით, რათა მომხმარებლები მათი საქმიანობისა და იდენტობის შესახებ შეცდომაში შეიყვანონ. Facebook-ის სტანდარტების მიხედვით, აკრძალულია:

- მრავალი Facebook ანგარიშის (პროფილის) გამოყენება და მათი გაზიარება სხვადასხვა ადამიანებს შორის.
- სხვებისთვის ზიანის მიყენების მიზნით, Facebook-ისა და Instagram-ის რეპორტირების (reporting) სისტემის არასწორად გამოყენება.
- არაავტენტურ საქმიანობაში ჩართვა - Facebook ან Instagram ანგარიშების (პირადი ანგარიში, გვერდები, ჯგუფები და ღონისძიებები (events) გამოყენება მომხმარებლების ან Facebook-ის შეცდომაში შესაყვანად:
 - პირის ვინაობის, სუბიექტის წარმოშობის მიზნის შესახებ.
 - Facebook-ის ან Instagram-ის კონტენტის ან ანგარიშების პოპულარობის შესახებ.
 - აუდიტორიის ან თემის (community) წარმოშობის მიზნის შესახებ.
 - წყაროს ან კონტენტის წარმოშობის შესახებ.
 - Facebook-ის სტანდარტების გვერდის ავლის შესახებ.

²² უფრო ვრცლად იხილეთ <https://bit.ly/2A7PtOY>

- Facebook-ის ან Instagram-ის მრავალი ანგარიშის გამოყენება, რომლებიც მოქმედებენ შეთანხმებულად და რომელთა მუშაობის ფარგლებში მთავარი რგოლი ყალბი ანგარიშებია.
- უცხო ან ადგილობრივი მთავრობის მიერ ორგანიზებულ არაავთენტურ და კოორდინირებულ ქმედებაში მონაწილეობა.

2019 წლის 20 დეკემბერს სოციალურ ქსელმა Facebook-მა თავისი პლატფორმიდან 418 ქართული ანგარიში (39 პროფილი, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 Instagram-ანგარიში) წაშალა. ამის მიზეზი წაშლილი ანგარიშების კოორდინირებული და არაავთენტური ქცევა გახდა. ატლანტიკური საბჭოს ციფრული კრიმინალისტიკის ლაბორატორიის თანახმად, რომელიც Facebook-თან თანამშრომლობს და მას დეზინფორმაციული კამპანიების შესახებ ინფორმაციას აწვდის, აღნიშნულ გვერდებზე ანტიამერიკული შინაარსის შემცველი პოსტებიც ვრცელდებოდა. Facebook-ის განცხადების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშების უკან მდგომი ადამიანები ცდილობდნენ, თავიანთი იდენტობა და კოორდინირებული მუშაობა დაეფარათ, მათი გამოძიებით, ეს აქტივობები საქართველოში მოქმედ სარეკლამო კომპანია „პანდასა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას უკავშირდება. ამ გვერდებმა დაახლოებით 316 000 აშშ დოლარი Facebook-სა და Instagram-ზე რეკლამაში, ანუ პოსტების დასპონსორებაში დახარჯეს²³.

2020 წლის აპრილში, Facebook-მა კვლავ წაშალა გვერდები, რომლებიც საქართველოში არაავთენტური და კოორდინირებული ქმედებებით მოქალაქეების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. Facebook-მა 6 ქვეყანაში 8 კოორდინირებული ქსელი გამოავლინა და საინფორმაციო პოლიტიკის წესების დარღვევისთვის 732 ანგარიში, 793 გვერდი, 200 ჯგუფი და 162 ინსტაგრამანგარიში წაშალა. მათი აბსოლუტური უმეტესობა საქართველოში მოქმედ კოორდინირებულ ჯგუფებს ეკუთვნის, რომლებიც ძირითადად ქართულ ოცნებასთან აფილირებულ კოკა ყანდიაშვილთან, ასევე, ნაციონალურ მოძრაობასთან არის კავშირში.

- წაიშალა კოკა ყანდიაშვილის Espersona-სთან დაკავშირებული 511 გვერდი, 101 ანგარიში, 122 ჯგუფი და 56 ინსტაგრამანგარიში.
- წაიშალა ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული 80 გვერდი, 23 ანგარიში, 41 ჯგუფი და 9 ინსტაგრამანგარიში.

²³ საქართველოს რეფორმების ასოციაცია. „Facebook-ის დიდი წმენდა: რა წაიშალა და რატომ?“. ხელმისაწვდომია <https://grass.org.ge/uploads/other/2019-12-26/557.pdf>

ამავე მიზეზით Facebook-მა თავისი პლატფორმიდან წაშალა რუსული კრემლისტური მედიის News-Front-ის გვერდებიც, მათ შორის ქართულენოვანი News-Front Georgia, რომელიც ღიად პრორუსულ ნარატივს ატარებდა და კორონავირუსზე დეზინფორმაციას ავრცელებდა, ასევე წაიშალა News-front-ის ადმინისტრატორის კონსტანტინე ჩიკვილაძის პირადი ანგარიშიც.

Facebook-ზე დეზინფორმაციის გავრცელება მარტივია. ამ სიმარტივეს ემატება ისიც, რომ ადამიანები მეგობრების მიერ გაზიარებულ ინფორმაციას მარტივად ენდობიან და ხშირად არ ამოწმებენ გავრცელებულ ინფორმაციას. სოციალურ ქსელებში ბუნებრივად იქმნება მცირე საინფორმაციო ეკოსისტემები (დახურული საინფორმაციო სისტემა), რომელშიც ადამიანები ერთი ტიპის ხედვას ეცნობიან. ხშირად ეს ხედვები საკუთარი თვალსაზრისის იდენტურია, რაც მათ ჭეშმარიტებად მიღებას ამარტივებს) დეზინფორმაციის გავრცელება „მოწონების“, „დატვიტვის“ ან „გაზიარების“ მსგავსად იოლია. ამდენად, ანტიდასავლური დეზინფორმაციაც სოციალურ ქსელებში მარტივად ვრცელდება მსგავს დახურულ ეკოსისტემებში. Facebook-ის რეკლამირების გზით კი მტრული აქტორები მომხმარებელთა ფართო მასებზე ახერხებენ წვდომას.

კორონავირუსი და ანტიდასავლური პროპაგანდა

გლობალური პანდემიის დროსაც კი რუსული პროპაგანდისტული მანქანა აქტიურად მუშაობს. ევროკავშირის განცხადებით, რუსეთის მთავრობის მხარდამჭერი მედია კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს. მოსკოვი ცდილობს ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობა გახლიჩოს, მათში პანიკა და ევროპული სამედიცინო სისტემის მიმართ უნდობლობა დათესოს. ევროკავშირის თანახმად, კრემლის დეზინფორმაცია რამდენიმე ენაზე ვრცელდება, მათ შორის ინგლისურად, ესპანურად, ფრანგულად და გერმანულად. გარდა ამისა, კორონავირუსთან დაკავშირებით კრემლი ურთიერთგამომრიცხავ თეორიებს ავრცელებს, რათა ქაოსი შექმნას. ევროკავშირის ანგარიშის მიხედვით²⁴, რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მთავარი გზავნილებია, რომ კორონავირუსი ევროპაში მიგრანტებმა ჩაიტანეს და რომ ის აშშ-ის მიერ შექმნილი ბიოლოგიური იარაღია.

²⁴ რადიოთავისუფლება. „ევროკავშირი კრემლს COVID-19-ზე დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3fgQDBa>

რუსული პროპაგანდის და დეზინფორმაციის გამავრცელებელი სააგენტოები საქართველოშიც აქტიურად მუშაობენ, რომლებიც სხვადასხვა კონსპირაციული და მანიპულაციური გზით მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ²⁵. სააგენტოები „ნიუს-ფრონტი“, „საქართველო და მსოფლიო“, „საქინფორმი“ განსაკუთრებით აქტიურად ცდილობენ მოსახლეობა დაარწმუნონ, რომ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი²⁶ მოქალაქეებისთვის საშიშ საქმიანობას ეწევა. სინამდვილეში კი, კორონავირუსის პირველი ინფიცირების შემთხვევების დაფიქსირებიდან დღემდე, სწორედ აღნიშნული ლაბორატორია დგას ვირუსთან ბრძოლის ერთ-ერთ წინა ხაზზე. ლუგარის ცენტრის გარეშე საქართველო ვერ შეძლება სწრაფად დაეტესტა მოქალაქეები. მიუხედავად იმისა, რომ ეპიდემიამ ყველას ცალსახად დაანახა, რომ ცენტრი საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის მუშაობს, საქართველოში მოქმედი პრორუსული გამოცემები ერთ ხმაში იმეორებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებების პროპაგანდას და ცენტრს ბიოლოგიური იარაღის დამზადებაში ადანაშაულებენ.

ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია კორონავირუსის ეპიდემიას ასევე აქტიურად იყენებს ევროკავშირის დისკრედიტაციისათვის. მაგალითად, ისინი ავრცელებენ ყალბ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ მიატოვა პანდემიის დროს დასავლეთმა საქართველო. ფაქტები კი სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს: საქართველო ევროკავშირისგან 1.5 მილიარდ ლარს მიიღებს, რაც მას დაეხმარება ჯანდაცვის სფეროში არსებული კრიზისიდან გამოსვლაში და მომავალ ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებთან ბრძოლისათვის უკეთ მომზადებაში. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა აღნიშნული დახმარება განახორციელა მაშინ, როდესაც მის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოებიც მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგანან.

იმისათვის, რომ ანტიდასავლური პროპაგანდის მსხვერპლნი არ გავხდეთ, მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია, რომელსაც სოციალურ ქსელში, გაზეთსა თუ ტელევიზიაში წავაწყდებით, გადავამოწმოთ; განსაკუთრებით კი თუ კი ინფორმაციას ისეთი საეჭვო მედიასაშუალებები ავრცელებენ, რომლებიც ანტიდასავლურ კამპანიებში არიან ჩართულები.

²⁵ ვრცლად იხილეთ ფაქტ-მეტრის სტატია „როგორ იყენებს კრემლი კორონავირუსს დეზინფორმაციის გასავრცელებლად“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3deQP98>

²⁶ დამატებით იხილეთ რადიო თავისუფლების მასალა რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის შესახებ. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2xS1V4M>

როგორ არ მოვტყუვდეთ და როგორ გადავამოწმოთ ინფორმაცია?

როგორ გადავამოწმოთ ყალბი ამბავი?

მთავარი რეცეპტი იმისათვის, რომ ყალბი ამბისა და დეზინფორმაციის მსხვერპლნი არ გავხდეთ, ინფორმაციის კრიტიკული შეფასებაა. მას შემდეგ კი რაც კრიტიკულად მივუდგებით, განსაკუთრებით საეჭვო მედიასაშუალებების მიერ, გავრცელებულ ამბებს, დეზინფორმაციის აღმოჩენა მარტივი მეთოდებით შეიძლება:

- დააკვირდით წყაროს დასახელებას - ყალბი ამბის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის აღმოსაჩენად აუცილებელია, შეამოწმოთ მისამართი იმ ორგანიზაციისა თუ მედიასაშუალების, რომელიც ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. თუ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ ამბავს იკვლევთ, გადაამოწმეთ ვებგვერდის მისამართი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ყალბი ამბის გამავრცელებელი სააგენტოები რეგისტრირდებიან სანდო მედიასაშუალების მსგავსი სახელით, მაგალითად, abcnews.com.co; NBC.com.co, Times.com.mx. აღნიშნული ვებგვერდების შექმნის მიზანია, მკითხველი დააბნიოს და აფიქრებინოს, თითქოს ისინი Times-ის, NBC-ის და სხვა მსგავსი ცნობილი მედიასაშუალების წარმომადგენლები არიან. წყაროს შემოწმებისას მოძებნეთ მათზე ინფორმაცია Fact-Checking ორგანიზაციების ვებგვერდებზე, მაგალითად: www.factcheck.ge, www.mythdetector.ge, www.mediachecker.ge. შესაძლოა, აღნიშნულ სააგენტოებს უკვე იდენტიფიცირებული ჰქონდეთ ესა თუ ის სააგენტო ყალბი ამბების გავრცელებაში.
- ყურადღება მიაქციეთ სტატიის სათაურს - ხშირად ადამიანები მხოლოდ სათაურს კითხულობენ. ყალბი ამბების, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გამარცხლებელი სააგენტოები ხშირად პროვოკაციულ სათაურებს გვთავაზობენ. სათაური და სტატიაში აღწერილი ინფორმაცია შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს და ამდენად, მნიშვნელოვანია მხოლოდ სათაურს არ ვენდოთ.
- შეამოწმეთ სტატიის ავტორი - აუცილებელია, შეამოწმოთ მითითებული აქვს თუ არა სტატიას ინფორმაცია ავტორის შესახებ. ხშირად, ყალბი ინფორმაციის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამავრცელებელი ორგანიზაციები არ

უთითებენ ავტორს. თუ კი ავტორი მითითებულია, მოძებნეთ მის შესახებ ინფორმაცია და დარწმუნდით, რამდენად სანდო შეიძლება იყოს ავტორი. მოიძიეთ მისი სხვა სტატიები. თუ არ არის კონკრეტული ავტორი მითითებული, შეამოწმეთ თავად ინფორმაციის გამავრცელებელი მედიასაშუალება/წყარო.

- უფრო ღრმად შეისწავლეთ ინფორმაციის გამავრცელებელი წყარო - როგორც წესი, ყველა სანდო მედიასაშუალებას მითითებული აქვს „ჩვენს შესახებ“ და „კონტაქტის“ სექციაში ინფორმაცია. თუკი ინფორმაციის გამარცხლებელი წყაროს ვებგვერდზე მსგავსი სექციები არ არსებობს, გარკვეული ეჭვები ჩნდება მათი სანდოობის მიმართ. თუკი მითითებული აქვთ ინფორმაცია, გაეცანით მათ. გადაამოწმეთ ყურადღებით, შესაძლოა სატირული სააგენტო იყოს და მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხუმრობა აღმოჩნდეს სინამდვილეში. ასევე, ყურადღება მიაქციეთ ვებგვერდზე სარეკლამო ბანერების სიმრავლეს - ე.წ. pop-up-ების, ფლემ ბანერების და სხვა სახის რეკლამებს. ხშირად ე.წ. clickbait საიტები სწორედ სარეკლამო ბანერებით გამოირჩევიან.
- შეისწავლეთ თავად სტატია - დააკვირდით რამდენად არის მითითებული თარიღი და რაც მთავარია, დამადასტურებელი წყაროები, ბმულები. როგორც წესი, ყალბი ამბის, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამავრცელებელი ორგანიზაციები არ უთითებენ ამ ტიპის ინფორმაციას. ისინი იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „ექსპერტების თანახმად“, „მკვლევარების დასკვნით“, თუმცა, არ გვისახელებენ პიროვნებებს და არ უთითებენ იმ კვლევას, რაზეც საუბრობენ.
- გადაამოწმეთ ინფორმაცია სხვა წყაროებში - მიზანშეწონილია, ნებისმიერი ამბის გადამოწმებისას, მოძებნოთ ინფორმაციის ალტერნატიული წყაროები, მოიძიოთ რას იუწყებიან ამბავზე სხვა სანდო მედიასაშუალებები.
- თუკი თქვენ თავად არ გაქვთ დრო გადამოწმების, შეგიძლიათ გადამოწმებისათვის ზემოთჩამოთვლილ იმ სააგენტოებს მიმართოთ, რომლებიც ფაქტების გადამოწმებით არიან დაკავებული.


როგორ ამოვიცნოთ ფოტო/ვიდეო მანიპულაცია?

გარდა ყალბი ამბებისა და სტატიებისა, რომლებსაც სხვადასხვა ონლაინ სააგენტოები, ბეჭდური თუ სხვა მედიასაშუალებები აქვეყნებენ, ასევე საკმაოდ გავრცელებულია ფოტო-მანიპულაციები, რომლებიც განსაკუთრებით მარტივად და ეფექტურად ვრცელდება სოციალურ ქსელებში. ყალბ ვიზუალურ მასალას განსაკუთრებით

ხშირად იყენებენ სოციალურ ქსელებში. უმეტეს შემთხვევაში, გავრცელებული ფოტო/აუდიო/ვიდეო მასალა არ ასახავს ხოლმე იმ მოვლენას/რეალობას, რაზეც დეზინფორმატორები მიუთითებენ. შესაძლოა, ფოტო/ვიდეო მასალები სპეციალური პროგრამით დამუშავებული იყოს. ამდენად, ფოტო/ვიდეო მასალის გადამოწმებისას მთავარია, ვიპოვოთ ორიგინალი მასალები და გადავამოწმოთ, თუ რას ასახავს აღნიშნული მასალა.

ფოტო/ვიდეოს გადამოწმებას მარტივად შეძლებთ, თუ სურათის ID ან URL მეშვეობით მათ პირველწყაროს მოძებნით. თუ ფოტოს Google-ის საძიებო სისტემაში მოძებნით, ნახავთ, თუ რომელ გვერდებზე იძებნება აღნიშნული მასალა, რაც დაგეხმარებათ: ა) იპოვოთ, თუ სად გავრცელდა პირველად; ბ) თუკი ნახავთ, რომ სხვა არასანდო და საეჭვო მედიები იყენებენ ამ მასალას, კიდევ უფრო მეტად დაეჭვდებით ფოტოს მანიპულაციურად გამოყენებაში.

ფოტოს URL-ით მოძებნისთვის, ფოტოზე მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით უნდა აირჩიოთ Search Google for image ან ალტერნატიულად Google-ის საძიებო სისტემაში შეგიძლიათ ატვირთოთ საეჭვო ფოტო (იხ. დამხმარე ვიზუალური მასალა).



ალტერნატიულად:

ნაბიჯი 1. Google-ის საძიებო სისტემაში მოძებნეთ სურათების სექცია




სურათების ძებნა




ყველაფერი სურათები ვიდეოები რუკები სიახლეები მეტი პარამეტრები ხელსაწყოები

ნაბიჯი 2: ჩასვით სურათის URL საძიებო სისტემაში, რომელიც შეგიძლიათ დააკოპიროთ ფოტოზე მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერისას Copy URL-ის ფუნქციით. URL-ის საძიებო სისტემაში ჩასმის შემდეგ, დააჭირეთ სურათის მიხედვით ძიებას და Google მოგაწვდით ამ ბმულებს, სადაც აღნიშნული და ასევე მიმსგავსებული ვიზუალური მასალა იძებნება.



ალტერნატიულად:

ნაბიჯი 2: ფოტოს URL-დაკოპირების ნაცვლად, შეგიძლიათ ატვირთოთ ფოტო, რომლის გადამოწმება გსურთ. დააჭირეთ choose file ღილაკს, მონიშნეთ სურათი და შემდეგ დააჭირეთ ატვირთვას. Google ამ შემთხვევაშიც მოგიძებნით მსგავსი ვიზუალური მასალის შემცველ ვებგვერდებს.



ფოტოს ორიგინალი თუ სხვა წყაროების მოსაძიებლად Google-ის გარდა, შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა ინსტრუმენტები:

- [Tineye Reverse Image Search](#) - აღნიშნულ ვებგვერდზე შეგვიძლია ფოტო მოვებნით რამდენიმე ხერხით: 1) ავტვირთოთ ფოტო; 2) მოვებნით ფოტო (ფოტოს) URL მისამართით.



- [Who stole my pictures](#) - შესაძლოა მივამაგროთ ჩვენს ბრაუზერს. აღნიშნული პროგრამა ფოტოს ეძებს Google-ის, Tineye-ის, Yandex-ის, და სხვ. სისტემებში²⁷.

ამ მეთოდებით თქვენ შეძლებთ, გადაამოწმოთ ფოტოს ორიგინალობა, ნახოთ დამუშავებულია, თუ არა ფოტო ან აღწერს თუ არა ნამდვილად იმ მოვლენას, რაც ფოტოს აღწერილობაში იყო მითითებული.

ფოტო-მანიპულაციის აღმოსაჩენად, თქვენს თავს დაუსვით შემდეგი კითხვები:

- სად გამოიყენეს აღნიშნული ფოტო? მოიძიეთ პირველწყარო;
- აღწერს თუ არა ის მედია, სადაც ფოტოს გადააწყდით, სწორად კონტექსტს? ძველი ფოტო ხომ არ არის, რომელსაც მანიპულაციურად წარმოგიდგენენ?
- დააკვირდით ადამიანებს ფოტოზე, მათ სამოსს. შეესაბამება მათი ჩაცმულობა იმ ადგილს/ქვეყანას, რაზეც საეჭვო მედია მიგითითებთ?
- დააკვირდით წარწერებს, ქუჩის სახელებს. მსგავსი ტოპონიმები ასევე დაგეხმარებათ დაადგინოთ, შეესაბამება თუ არა ფოტოს აღწერა და მასზე დატანილი ენობრივი მასალა ერთსა და იმავე ადგილს.

²⁷ დეტალურად იხილეთ <https://www.stopfake.org/en/how-to-identity-a-fake/>

ფოტო მანიპულაციების მაგალითები
მაგალითი 1:

გასულ წელს, ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ყალბი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბანანებში ღორის გრიპი იქნა შეშვებული და სეზონური გრიპი, რომელიც საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა საქართველოში, სწორედ აქედან გავრცელდა. აღნიშნულის დასტურად მოყვანილია ფოტო, რომელზეც წითელი შეფერილობის ბანანია აღბეჭდილი.



WWW.GE


**შოკისმომგვრელი ფაქტი: ჩვენს
ბანანებში ღორის გრიპს უშვებენ**

გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფოტო თავდაპირველად აშშ-ში, ხოლო შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გავრცელდა და ირწმუნებოდა, რომ ბანანებში HIV (შიდსის) ვირუსით დაინფიცირებული სისხლი იყო შეყვანილი. სინამდვილეში, ბანანის შიგთავსის წითელი შეფერილობა ხილის სოკოვანი ან ბაქტერიული დაავადებისგან არის გამოწვეული. მისი ჭამა კი, ადამიანების ჯანმრთელობისთვის საშიში არაა (დეტალურად იხილეთ „ფაქტ-მეტრის“ სტატია <https://bit.ly/2SvDpNU>).

მაგალითი 2:

2017 წლის 11 ივნისს "ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ საკუთარ ფეისბუქის გვერდზე შექმნილი ფოტო გავრცელა. თავის მხრივ, "ქართული დასის"

ლიდერის ფეისბუქის სტატუსი გამოაქვეყნა ონლაინ მედიასაშუალება მარშალპრესმა". გარდა ამისა, ონლაინ მედიასაშუალება "არილი TV"-მა ასევე გამოაქვეყნა ახალი ამბავი სათაურით - "უკრაინაში მართლმადიდებელ ეკლესიას არბევენ".



სინამდვილეში - გავრცელებული ფოტო 2010 წლის 28 ივლისს სამხრეთ უკრაინის ქალაქ ზაპოროჟიეში მდებარე ერთ-ერთ ეკლესიასთან მოწყობილ აფეთქებას ასახავს. [BBC](https://www.bbc.com)-ის ცნობით (ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით), აფეთქდა ხელნაკეთი ბომბი, რომელსაც ერთი მონაზონი ემსხვერპლა. ასევე, დაიჭრა დაახლოებით 8 ადამიანი (დეტალურად იხილეთ <https://bit.ly/2YvIUzY>).

ვიდეოს გადამოწმება შესაძლოა ოდნავ უფრო რთულ დავალებას წარმოადგენდეს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, შესაძლებელია მარტივი მეთოდებით ცალკეული ვიდეოს ავთენტურობის დადგენა. ვიდეოს გადამოწმებისას, შეგიძლიათ ვიდეოს "screenshot"

გაკეთოთ ანუ გადაუღოთ ფოტო ვიდეოში მნიშვნელოვან ეპიზოდს და შემდეგ როგორც ფოტო მასალის გადამოწმების გზით, ეცადოთ პირველწყარო ან ორიგინალი ვიდეოს მოძებნას. ასევე, მიაქციეთ ყურადღება ვიდეოს სათაურს და ნახეთ, მაგალითად YouTube-ზე იძებნება თუ არა მსგავსი ვიდეო და რას აღწერს ის (ვიდეოს გადამოწმების უფრო დეტალური გზამკვლევი იხილეთ აქ - <https://bit.ly/3fdRSI7> ; <https://bit.ly/35p0zea>).

სახელმწიფო პოლიტიკა დეზინფორმაციის წინააღმდეგ

საქართველოს პოლიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ათწლეულზე მეტია საქართველო რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის სამიზნეა, აღნიშნული საფრთხეების აღიარება ფორმალურად მხოლოდ 2016-2017 წლებიდან იწყება:

- ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის: „რუსეთი განაგრძობს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ მიმართულ ქმედებებს და აქტიურად ეწევა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების ხელისშემშლელ პროპაგანდას. ამის გარდა, რუსეთის ფედერაციის მიერ გრძელდება საინფორმაციო ომი საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა სახელმწიფოებში, ასევე ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყნებში, რითაც საფრთხე ექმნება ევროპულ და ევროატლანტიკურ ერთიანობას. რუსეთის ფედერაციის პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული კამპანია მიზნად ისახავს აღნიშნულ ქვეყნებში საზოგადოების ერთიანობის შესუსტებას, დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას და ევროკავშირისა და ნატოსადმი მხარდაჭერის შემცირებას“²⁸.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020: „ყირიმის ანექსიამ და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერ შეტევებმა და საინფორმაციო ომის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად გაზარდა უსაფრთხოებისგამოწვევები გლობალურ დონეზე. საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა

²⁸ ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის. ხელმისაწვდომია <http://bit.ly/34OrGxv>

რუსეთის „რბილი ძალის“ პოლიტიკასთან გამკლავება, ასევე, მოსალოდნელი ჰიბრიდული ომების სპეციფიკის გათვალისწინება და მასთან ადაპტაცია“²⁹.

- თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020: „რუსეთი გააგრძელებს ძალისხმევას საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის დასუსტების, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებისა და მართვადი დესტაბილიზაციის შექმნის მიმართულებით. კრემლი განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს „რბილი ძალის“ ელემენტების გაძლიერებაზე იმისათვის, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება, პრო-რუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერება და მოახდინოს დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია“³⁰.
- საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია: „რუსეთის ფედერაცია იყენებს კიბერსაშუალებებს ევროატლანტიკური სივრცის წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო ომში და შესაბამისად, კიბერსივრცის მეშვეობით, რუსეთის ფედერაცია აქტიურად ეწევა საინფორმაციო კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციის შეფერხებას და ასევე, საქართველოს მოსახლეობაში ევროატლანტიკური ღირებულებების დისკრედიტაციას“³¹.
- 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია: „რუსეთის ფედერაცია თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სამხედრო ძალასთან ერთად, სულ უფრო აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს და ცდილობს ბიძგი მისცეს ცალკეული ქვეყნების საზოგადოების ყველა ფენაში ტრადიციულად ჩამოყალიბებული დასავლური ღირებულებების გადახედვის პროცესს“³².
- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა: „რუსეთმა ფართო ფრონტი გაშალა პროპაგანდისა და დეზინფორმაციის სახით, ქართულ საზოგადოებაში დასავლეთისა და დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ნიველირებისა და შედეგად, ქვეყნის საგარეო კურსის რუსეთის ინტერესების

²⁹ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია 2017-2020. ხელმისაწვდომია <http://bit.ly/2qDsNBE>

³⁰ თავდაცვის სამინისტრო. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3ckhDV4>

³¹ საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2Wlcyzg>

³² 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2yFPPMt>

სასარგებლოდ ცვლილების მიზნით. პროპაგანდა, ასევე, ხშირად ქვეყნის შიგნით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის შუღლისა და დაპირისპირების გაღვივებას, პოზიციების რადიკალიზაციას ემსახურება, რაც ქვეყნის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა სტაბილურობის წინააღმდეგ არის მიმართული და სახელმწიფოს დასუსტებას ისახავს მიზნად³³.

- საქართველოს უსაფრთხოების სამსახურების წლიური ანგარიშები: „ჰიბრიდული ომის“ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა დეზინფორმაციული კამპანია. ყალბი ახალი ამბებით, ფაქტების დამახინჯებითა და ისტორიის გაყალბებით მიზანმიმართულად ხდებოდა მოსახლეობის პოლარიზაცია, მცდარი შეხედულებებისა და შიშის გავრცელება, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებით მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენა³⁴.

2018 წელს, მთავრობის განცხადებით, ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის შესამცირებლად და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის, აგრეთვე, ქვეყანაში ეფექტიანი, კოორდინირებული და პროაქტიური სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნა³⁵.

საქართველოს პარლამენტი სტრატეგიულ კომინიკაციას (სტრატკომი) შემდეგნაირად განსაზღვრავს: “კომუნიკაციის მწყობრი სისტემა, რომელიც სახელმწიფოს ან ორგანიზაციას ეხმარება საკუთარი ფუნდამენტური მისიის განხორციელებასა და მიზნების მიღწევაში. სტრატკომი მისი არსით მულტიდისციპლინარულია და მოიცავს სოციოლოგიაში, ინფორმაციის ანალიზში, საზოგადოებასთან ურთიერთობებში (PR), მარკეტინგსა და მენეჯმენტში გამოყენებულ ტექნოლოგიებს. სტრატეგიული კომუნიკაცია ფოკუსირდება სტრატეგიულ და არა ვიწრო მიზნებზე. სტრატკომის გზავნილი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ხასიათის”.

³³ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3fx98rZ>

³⁴ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის წლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2yHAWJp>

³⁵ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სტრატეგიულ კომუნიკაციებთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/35LHaEv>

მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, სახელმწიფოს რეალური ნაბიჯები მკვეთრად ჩამორჩება მათ მიერ ფორმალურად აღებულ ვალდებულებებს. პრაქტიკაში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის კომუნიკაცია და კოორდინირებული თანამშრომლობა მინიმალურია. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები, რომლებიც პროაქტიულად უნდა ააშკარავებდნენ დეზინფორმაციულ და პროპაგანდისტულ კამპანიებს, გარკვეულ შემთხვევებში ვიწრო პარტიულ მიზნებს ემსახურება³⁶.

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა დაიწყო თემატური მოკვლევა დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე, რომლის მიზნადაც დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევების და პრობლემების გაანალიზება და მთავრობისთვის რეკომენდაციების პროექტის მომზადება განისაზღვრა³⁷. დაფუძნებიდან ერთი წლის თავზე, მოკვლევის ჯგუფმა საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა. თემატური მოკვლევის ჯგუფის ანგარიში შემდეგ რეკომენდაციებს მოიცავს:

- პარლამენტში ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ზეპარტიული ფორუმის შექმნა და შესაბამისი განხილვების უზრუნველყოფა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების ჩართულობით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, მოკვლევის ჯგუფისა და საგამომიებო კომისიების ფორმატების გამოყენებით;
- პარლამენტის მხრიდან სოციალურ ქსელებთან (Facebook) თანამშრომლობის დაწყება და Facebook-ის რიგი რეგულაციების (მათ შორის, რეკლამის გამჭვირვალობა, მათი სპონსორების ვინაობის გასაჯაროება, სხვ.) საქართველოზე გავრცელების უზრუნველყოფა;
- რუსეთთან აფილირებული კერძო, არასამთავრობო, მედია და პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსების გამჭვირვალობის ზრდა და ამ მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;
- აღმასრულებელ დონეზე ზეპარტიული უწყებათაშორისი ორგანოს/მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც, სამოქალაქო საზოგადოებასთან კოორდინირებით, უზრუნველყოფს მყისიერ წინმსწრებ კომუნიკაციას დეზინფორმაციის და

³⁶ საქართველოს რეფორმების ასოციაცია. „სახელმწიფოს სტრატეგიული თუ პარტიული კომუნიკაცია: როგორ „ებრძვის“ თავდაცვის სტრატეგიაში მტრულ დეზინფორმაციას“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3ci2wf9>

³⁷ საქართველოს პარლამენტის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკვლევის ჯგუფი. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3duvcBx>

პროპაგანდის საკითხებზე, მათ შორის არჩევნებში პოტენციური გარე ძალის ჩარევის შესახებ.

2020 წლის თებერვალში დოკუმენტის ფორმალური დამტკიცების შემდეგ, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია, თუ რა ნაბიჯებს დგამს პარლამენტი და მთავრობა დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების შესასრულებლად. დეზინფორმაციის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტეზე საუბრობს საქართველოს პარლამენტის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე თემატური მოკლევის ჯგუფის საბოლოო ანგარიშიც: „სახელმწიფო ინსტიტუტების ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათ დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან გასამკლავებლად არ გააჩნიათ სათანადო რესურსები და ინსტრუმენტები. უფრო კონკრეტულად, ისინი გამოყოფენ უწყებათაშორისი კოორდინაციის საჭიროებას, რომელიც იქნება მთავრობას დაქვემდებარებული და სხვა დაკავშირებულ საკითხებს შორის, იმუშავებს დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართულებით“³⁸.

თემატური მოკლევის ჯგუფის ანგარიში ასევე ხაზს უსვამს საგანმანათლებლო სივრცეში რიგი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას: „ანტიდასავლური თუ სხვა სახის მტრული დეზინფორმაცია და პროპაგანდა ყველაზე მეტად მოწყვლად, ამ ინფორმაციის მიმღებ მოქალაქეებს იღებს მიზანში. ამიტომ, უადრესად მნიშვნელოვანია ახალ თაობაში კრიტიკული აზროვნების განვითარება. მსგავსი შედეგის მიღწევა მოკლევადიანი პროგრამებით, მათ შორის კონკრეტული საგნების შემოღებით ძნელად თუ მოხერხდება. საჭიროა კრიტიკული აზროვნების კომპონენტის გათვალისწინება ყველა სასკოლო საგანში, რომელიც შექმნის მყარ სამოქალაქო მედეგობას და მნიშვნელოვნად გაზრდის დემოკრატიული განვითარების შემდგომ საფუძველს ქვეყანაში; ასევე უზრუნველყოფს მოქალაქეების ციფრულ და მედია განათლებას. მსგავსი პრეცედენტი ფინეთში უკვე შეიქმნა“.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული პოლიტიკა

დეზინფორმაცია არის რუსული მავნე გავლენის და ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ნაწილი, რომელთან დაპირისპირებაც ერთიანი სტრატეგიული ხედვის შემუშავების

³⁸ საქართველოს პარლამენტის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე მომუშავე თემატური მოკლევის ჯგუფის საბოლოო ანგარიში. 2020 წელი. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2WEjy09>

გარეშე ძალიან ძნელია. სახელმწიფოს დეზინფორმაციის საწინააღმდეგო პოლიტიკა უნდა იყოს უფრო დიდი სტრატეგიული ხედვის ნაწილი, რომელიც რუსული მავნე ზეგავლენისა და ქმედებების წინააღმდეგ იქნება შემუშავებული. კონკრეტულად, დეზინფორმაციის გავლენის შესამცირებლად საჭიროა ამ კამპანიების მუდმივი მონიტორინგი, შესწავლა და საპასუხო ქმედებების შემუშავება, სადაც სტრატეგიული კომუნიკაციები ძალისხმევის მხოლოდ ერთი ნაწილია.

აღნიშნულ გამოწვევასთან ეფექტური ბრძოლისთვის, აუცილებელია საქართველოს დასავლელი პარტნიორების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. მათი გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლის მექანიზმებს შორის ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ მიმართულებებზე:

- საკანონმდებლო დონეზე - მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტმა იმსჯელოს და წარმოადგინოს დეზინფორმაციისა და რუსული გავლენების საფრთხეებთან ბრძოლის მექანიზმები საკანონმდებლო დონეზე. შესაძლებლობების ფარგლებში, შეიქმნას/გაუმჯობესდეს კანონმდებლობა, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცეს გამოვლინდეს რუსეთის ფედერაციის მხრიდან სხვადასხვა პოლიტიკური, ფინანსური, საზოგადოებრივი თუ სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით საქართველოში საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისა და ცვლილების მცდელობები; მაგალითისთვის, საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რაც შესაძლებლობას მოგვცეს გამოვავლინოთ რუსული დაფინანსების წყაროები და მათი კავშირები ადგილობრივ მედია და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ნაბიჯი საკანონმდებლო დონეზე.
- სამთავრობო დონეზე მაკოორდინირებელი სააგენტოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დეზინფორმაციული საფრთხეების რეგულარულ მონიტორინგსა და შეფასებას. სააგენტო პასუხისმგებელი უნდა იყოს როგორც მთავრობის შიგნით, სამინისტროებისა და პარლამენტთან კოორდინაციაზე, ასევე მთავრობასა და სამოქალაქო სექტორს, ექსპერტულ ჯგუფებს შორის თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლაზე. მსგავსი სააგენტო შექმნილია ჩეხეთში, ლიეტუვაში, დანიაში, შვედეთში და სხვა. გარდა ამისა, მაკოორდინირებული სააგენტო დეზინფორმაციასთან და უცხო ქვეყნის არალეგიტიმურ ჩარევებთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების პარლამენტისათვის შეთავაზებაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი.

- აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის წარმატებული ქვეყნების მაგალითები (ლიეტუვა, ჩეხეთი) ცხადყოფს, რომ დეზინფორმაციასთან ეფექტურად საბრძოლველად მნიშვნელოვანია ე.წ. „ერთიანი საზოგადოების“ (whole-of-society) მიდგომის განვითარება, რომელშიც სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტები კოორდინირებულად თანამშრომლობენ და ახორციელებენ დეზინფორმაციის საწინააღმდეგო პოლიტიკას.
- საზოგადოებრივი მედეგობის გაზრდის პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციის განხორციელება, რომელიც კონკრეტულ დეზინფორმაციულ კამპანიებთან დაკავშირებით არა მხოლოდ რეაქციული იქნება, არამედ პრევენციულად იმუშავებს, რათა გაზარდოს საზოგადოების ცნობიერება დეზინფორმაციის საფრთხეების მიმართ. ამავე კონტექსტში, მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ დასავლელი პარტნიორების გამოცდილებაც და სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში დაინერგოს შესაბამისი სასწავლო პროგრამები მედია წიგნიერების კუთხით.
- საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის, ნატოსა თუ ერთობლივად შექმნილი ისეთი ინსტიტუტების მონაწილე, როგორებიცაა EEAS East STRATCOM, NATO STRACOM COE, Finnish COE on Countering Hybrid Threats. ასევე, ორმხრივად მჭიდროდ ითანამშრომლოს ნატოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სასარგებლო ბმულები

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მედია წიგნიერების სახელმძღვანელო - ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2Wot0Vk>
- საქართველოს რეფორმების ასოციაციის ფაქტების გადამოწმების სახელმძღვანელო. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3fdRSI7>
- საქართველოს რეფორმების ასოციაციის ონლაინ კურსის ევროკავშირის შესახებ (მოიცავს ევროპული ფასეულებებისა და მითების ლექციას) <http://e-grass.ge/>
- მედიის განვითარების ფონდის მედიაწიგნიერების სასწავლო მასალები - <https://bit.ly/2VWBqo2>

- მედიის განვითარების ფონდის მედიაწიგნიერების გზამკვლევი - <https://bit.ly/3dejzyq>
- საქართველოს პარლამენტის ანგარიში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე - <https://bit.ly/3dg5XTD>